შპს „თ და კ რესტორნები“

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შპს „თ და კ რესტორნები“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 1
მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 3
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 4

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია 5
2. მომზადების საფუძველი 5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები 15
5. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ამოქმედებული 16
6. ძირითადი საშუალებები 17
7. აქტივის გამოყენების უფლება 19
8. არამატერიალური აქტივები 20
9. სასაქონლო მატერიალური მარაგები 20
10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 21
11. ფული და ფულის ეკვივალენტები 21
12. კაპიტალი 21
13. მიღებული სესხები 22
14. საიჯარო ვალდებულებები 23
15. საგადასახადო ვალდებულებები 24
16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 24
17. შემოსავალი მომხარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან 24
18. სხვა შემოსავალი 25
19. თანამშრომელთა სარგებელი 25
20. სხვა საოპერაციო ხარჯები 25
21. ფინანსური ხარჯი 26
22. საკურსო მოგება/(ზარალი), ნეტო 26
23. პირობითი ვალდებულებები 26
24. ფინანსური რისკების მართვა 27
25. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან 31
26. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები 31

ECOVIS®
ATA FINANCE

ტელ:+995 032 243 22 81
ელ.ფოსტა:tbilisi@ecovis.ge
მის: აფაქიძის ქუჩა #11,
ტიფლის ბიზნეს ცენტრი,
თბილისი,საქართველო 0171

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „თ და კ რესტორნები“-ს მენეჯმენტსა და დამფუძნებლებს

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „თ და კ“ რესტორნების ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „თ და კ“ რესტორნების ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - *“აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე”* - ნაწილში. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, როგორც ამას ითვალისწინებს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისათვის (IESBA-ის კოდექსი). შევასრულეთ IESBA-ს კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციის მომზადებაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. მმართველობის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

როდესაც გავეცნობით მმართველობის ანგარიშგებას, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ჩვენ მოვახდენთ მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან შესაბამის კომუნიკაციას, მმართველობის ანგარიშგების სქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონთან შესაბამისობის შესახებ.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კომპანიის ხელმძღვანელობა ვალდებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შეაფასოს, შეუძლია თუ არა კომპანიას განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვის საფუძვლად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამჟღავნებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან მას არა აქვს აღნიშნულის განხორციელების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას დაეყრდნობიან.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების ვერ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;

ECOVIS®
ATA FINANCE

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები"-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ECOVIS ATA FINANCE
405193124

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

27 მაისი, 2022

თბილისი, საქართველო

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

27 მაისი, 2022

თბილისი, საქართველო

შპს „თ და კ რესტორნები“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	126,047,193	132,061,543
აქტივის გამოყენების უფლება	7	9,605,276	10,303,199
არამატერიალური აქტივები	8	1,970,567	2,175,969
სულ გრძელვადიანი აქტივები		**137,623,036**	**144,540,711**
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	9	2,319,799	2,015,818
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	3,535,739	2,314,461
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	4,910,228	602,217
სულ მიმდინარე აქტივები		**10,765,766**	**4,932,496**
სულ აქტივები		**148,388,802**	**149,473,207**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	12	1,677,000	1,677,000
გადაფასების რეზერვი		44,170,302	44,664,407
გაუნაწილებელი მოგება/(დაუფარავი ზარალი)		338,761	(17,766,671)
სულ კაპიტალი		**46,186,063**	**28,574,736**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	13	65,223,765	85,508,054
საიჯარო ვალდებულებები	14	10,386,253	11,838,722
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**75,610,018**	**97,346,776**
მიმდინარე ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები	15	2,393,745	2,025,548
მოკლევადიანი სესხები	13	14,658,812	10,010,636
საკონტრაქტო ვალდებულება	17	268,645	-
სავაჭრო ვალდებულებები	16	7,558,768	10,017,559
საიჯარო ვალდებულებების მიმდინარე ნაწილი	14	1,712,751	1,497,952
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**26,592,721**	**23,551,695**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**148,388,802**	**149,473,207**

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 27 მაისს:

თენგიზ კაპანაძე
გენერალური დირექტორი

ბექა სტურუა
ფინანსური დირექტორი

5-31 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	126,047,193	132,061,543
აქტივის გამოყენების უფლება	7	9,605,276	10,303,199
არამატერიალური აქტივები	8	1,970,567	2,175,969
სულ გრძელვადიანი აქტივები		**137,623,036**	**144,540,711**
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	9	2,319,799	2,015,818
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	3,535,739	2,314,461
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	4,910,228	602,217
სულ მიმდინარე აქტივები		**10,765,766**	**4,932,496**
სულ აქტივები		**148,388,802**	**149,473,207**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	12	1,677,000	1,677,000
გადაფასების რეზერვი		44,170,302	44,664,407
გაუნაწილებელი მოგება/(დაუფარავი ზარალი)		338,761	(17,766,671)
სულ კაპიტალი		**46,186,063**	**28,574,736**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	13	65,223,765	85,508,054
საიჯარო ვალდებულებები	14	10,386,253	11,838,722
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**75,610,018**	**97,346,776**
მიმდინარე ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები	15	2,393,745	2,025,548
მოკლევადიანი სესხები	13	14,658,812	10,010,636
საკონტრაქტო ვალდებულება	17	268,645	-
სავაჭრო ვალდებულებები	16	7,558,768	10,017,559
საიჯარო ვალდებულებების მიმდინარე ნაწილი	14	1,712,751	1,497,952
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**26,592,721**	**23,551,695**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**148,388,802**	**149,473,207**

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 27 მაისს:

თენგიზ კაპანაძე გენერალური დირექტორი	ბექა სტურუა ფინანსური დირექტორი

5-31 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

	შენიშვნა	**2021**	**2020**
შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან	17	136,483,166	94,777,113
სხვა შემოსავალი	18	2,321,779	2,080,884
სულ შემოსავალი		**138,804,945**	**96,857,997**
გამოყენებული მასალები		(60,643,268)	(47,940,783)
თანამშრომელთა სარგებელი	19	(19,946,062)	(16,463,061)
როიალტი		(8,886,112)	(8,088,570)
ცვეთა და ამორტიზაცია		(9,111,319)	(7,968,121)
სხვა საოპერაციო ხარჯები	20	(23,876,728)	(17,475,193)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		**16,341,456**	**(1,077,731)**
ფინანსური ხარჯი	21	(8,080,822)	(6,409,967)
საკურსო მოგება/(ზარალი), ნეტო	22	9,350,693	(19,513,727)
ქონების გადაფასების შედეგად წარმოქმნილი (ზარალი)		-	(511,503)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		**17,611,327**	**(27,512,928)**
მოგების გადასახადი		-	(201,239)
წლის მოგება/(ზარალი)		**17,611,327**	**(27,714,167)**
სხვა სრული შემოსავალი:			
მუხლები, რომლებიც არ რეკლასიფიცირდება მოგება ან ზარალში:			
გადაფასების რეზერვი		-	8,692,888
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		**17,611,327**	**(19,021,279)**

5-31 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(დაუფარავი ზარალი)	გადაფასების რეზერვი	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2019	**1,677,000**	**10,567,510**	**36,491,856**	**48,736,366**
გამოცხადებული დივიდენდი	-	(1,140,351)	-	(1,140,351)
გადაფასების ნამეტი	-	520,337	(520,337)	-
წლის სრული ზარალი	-	(27,714,167)	8,692,888	(19,021,279)
31 დეკემბერი 2020	**1,677,000**	**(17,766,671)**	**44,664,407**	**28,574,736**
გადაფასების ნამეტი	-	494,105	(494,105)	-
წლის სრული შემოსავალი	-	17,611,327	-	17,611,327
31 დეკემბერი 2021	**1,677,000**	**338,761**	**44,170,302**	**46,186,063**

5-31 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
წლის სრული მოგება	**17,611,327**	**(27,714,167)**
არაფულადი კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	9,111,319	7,968,121
ფინანსური ხარჯი	8,080,822	6,409,967
მოგების გადასახადის ხარჯი	-	201,238
მოგება საიჯარო შეღავათებიდან	(170,444)	(258,656)
ძირითადი საშუალების გადაფასებიდან მიღებული კომპენსაცია/(ზარალი)	-	511,503
საკურსო (მოგება)/ზარალი	(9,350,693)	19,513,727
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები სამუშაო კაპიტალში მომხდარ ცვლილებებამდე	**25,282,331**	**6,631,733**
სამუშაო კაპიტალის კორექტირება:		
შემცირება/(ზრდა) საოპერაციო აქტივებში:		
ცვლილებები საქონელში	(303,981)	3,492,014
ცვლილებები დებიტორულ დავალიანებებში	(1,225,023)	1,316,583
ცვლილებები საკონტრაქტო ვალდებულებებში	268,645	-
ცვლილებები საგადასახადო აქტივებში	-	2,125,370
(შემცირება)/ზრდა საოპერაციო ვალდებულებებში:		
ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებებში	(2,414,348)	(4,756,174)
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში	368,197	-
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	**21,975,821**	**8,809,526**
გადახდილი მოგების გადასახადი	-	(201,240)
გადახდილი პროცენტი	(6,877,394)	(4,095,382)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული წმინდა ფულადი სახსრები	**15,098,427**	**4,512,904**
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	(2,077,437)	(19,239,190)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა	-	(351,100)
საინვესტიციო აქტივობებში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	**(2,077,437)**	**(19,590,290)**
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
აღებული/(დაფარული) სესხი	(6,811,896)	16,627,310
გადახდილი საიჯარო ვალდებულება	(1,677,664)	(1,312,947)
გადახდილი დივიდენდი	-	(1,140,351)
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსურ აქტიობებში	**(8,489,560)**	**14,174,012**
წმინდა ზრდა/(შემცირება) ფულის ან ფულადი ეკვივალენტების	**4,531,430**	**(903,374)**
ფული და ფულადი ნაკადები პერიოდის დასაწყისში	**602,217**	**1,578,152**
კურსთა შორის სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებზე	(223,419)	(72,561)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	**4,910,228**	**602,217**

5-31 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს „თ და კ რესტორნები“ (ს/ნ 204909180) დაარსდა საქართველოში კომპანიის იურიდიულ მისამართი და საქმიანობის ადგილია საქართველო, ქ. თბილისის, ძმები კაკაბაძეების ქუჩა N1.

ძირითადი საქმიანობა. კომპანია საქმიანობს მაკდონალდსის სწრაფი კვების ობიექტების ქსელით და წარმოადგენს მაკდონალდის კორპორაციის ფრანჩაიზს. 2021 წლის 31 დეკემბერს კომპანია წარდგენილი იყო თვრამეტი რესტორნით საქართველოს ხუთ ქალაქში: თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, რუსთავი და ზუგდიდი.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ძმები კაკაბაძეების ქ., N1

კომპანიის მეწილეები: კომპანიის მეწილეების სტრუქტურა, 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგანაირად:

სახელი	**31 დეკემბერი 2021**	**31 დეკემბერი 2020**
თემურ ჭყონია	90%	90%
თენგიზ კაპანაძე	10%	10%

საქართველოს ბიზნეს გარემო. კომპანია საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა შემდეგისა:

- ძირითადი საშუალებები - მიწა და შენობები აღრიცხულია გადაფასების მოდელის გამოყენებით.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში თუ სხვა რამ არ არის მითითებული. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება ასევე შესაბამისობაშია საქართველოს კანონთან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნორიზებად მომავალში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში

მიმდინარე წელს კომპანიამ გამოიყენა საბჭოს მიერ გამოშვეული ფასს სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების შემდეგი შესწორებები, რომლებიც ძალაშია 2021 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის:

- **კოვიდ-19-თან დაკავშირებული ქირის შეღავათები 2021 წლის 30 ივნისის შემდგომი პერიოდებისთვის - შესწორება ფასს 16-ში.**

- **ამოსავალი საპროცენტო განაკვეთის რეფორმა მეორე ეტაპი - შესწორება სტანდარტებში ფასს 9, ბასს 39, ფასს 7, ფასს 4 და ფასს 16.**

  შესწორებები ეხება ისეთ საკითხებს, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ ფინანსურ ანგარიშგებაზე საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის რეფორმის შედეგად, მათ შორის, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ცვლილებების ან ჰეჯირების შედეგებზე, რომლებიც წარმოიშობა ერთი კრიტერიუმის ალტერნატიული კრიტერიუმით შეცვლის შედეგად. ცვლილებები ითვალისწინებს პრაქტიკულ შეღავათს ფასს 9-ში, ბასს 39-ში, ფასს 7-ში, ფასს 4-ში და ფასს 16-ში მოცემული გარკვეული მოთხოვნებისგან, რომლებიც ეხება: - ფინანსური აქტივების, ფინანსური ვალდებულებების და საიჯარო ვალდებულებების საკონტრაქტო ფულადი ნაკადების განსაზღვრის საფუძვლის ცვლილებებს; და - ჰეჯირების აღრიცხვა. მოსალოდნელია, რომ ამ ცვლილებას მნიშვნელოვანი ეფექტი არ ექნება.

აღნიშნული ცვლილებების გამოყენებას არ ჰქონია რაიმე საგრძნობი ეფექტი ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტებულ თანხებზე. კოვიდ-19-თან დაკავშირებული ქირის შეღავათების შესახებ მეტი ინფორმაციისთვის გთხოვთ იხილოთ მე-14 შენიშვნა.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2021 და 2020 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	**ევრო**
2021 წლის 31 დეკემბერი	3.0976	3.5040
2020 წლის 31 დეკემბერი	3.2766	4.0233

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ძირითადი საშუალებები. ყველა ძირითადი საშულება აღიარებულია ისტორიული ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთის საფუძველზე, გარდა მიწებისა და შენობების რომლებიც წარდგენილია რეალური ღირებულებით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- **აღიარება და შეფასება**. ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.
- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება.
- **დაუმთავრებელი მშენებლობა.** დაუმთავრებელი მშენებლობის დანახარჯები მოიცავს ძირითადი საშუალებების შექმნისა და მშენებლობის ხარჯებს. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულებაში შეიყვანება მათი შექმნისთვის და მშენებლობისთვის გამოყენებული: მასალები, შრომის ანაზღაურება; იმ ძირითადი საშუალებების ცვეთა, რომელიც მონაწილეობას ღებულობს მათ შექმნაში და მშენებლობაში და ასევე სხვა სახის ზედნადები ხარჯები. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულებაში ასევე შეყვანილია კონტრაქტორებისთვის გადახდილი ავანსები. დაუმთავრებელი მშენებლობა მაშინ შედის ექსპლუატაციაში და მაშინ იწყება ცვეთის დარიცხვა, როდესაც იგი მოყვანილია იმ კონდიციაში და მდგომარეობაში, რომ კომპანიას შეუძლია მისი გამოყენება დასახული მიზნისათვის.
- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითად საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ მოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას და დაუმონტაჟებელ მოწყობილობებს ცვეთა არ ერიცხება. ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	მომსახურების ვადა (წელი)
შენობები	35
გაუმჯობესებები საკუთარ შენობებსა და მიწაზე	5-10
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	12-35
რესტორნის აღჭურვილობა და დანადგარები	5-10
რესტორნის ავეჯი	5-20
ოფისის ავეჯი და დანადგარები	5-15
სხვა აქტივები	3-7

გადაფასების ნამეტი წარდგება სრულ შემოსავალში როგორც ძირითადი საშუალების გადაფასების რეზერვი. გადაფასების ნამეტი მოგებაში ან ზარალში აღიარდება იმ ოდენობით, რამდენიც საჭიროა იმავე აქტივის ჩამოფასების თანხის საკომპენსაციოდ, რომელიც ადრე მოგებაში ან ზარალში აღიარდა.

გადაფასების შედეგად მიღებული ზარალი წარდგება მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში როგორც ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან მიღებული ზარალი. გადაფასების შედეგად მიღებული ზარალი აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში იმ ოდენობით, რა სიდიდის საკრედიტო ნაშთიც არსებობს გადაფასების ნამეტში ამ აქტივთან დაკავშირებით. სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული შემცირების თანხა ამცირებს საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში `გადაფასების რეზერვის სათაურის ქვეშ დაგროვილ თანხას.

გადაფასების რეზერვი გადადის გაუნაწილებელ მოგებაზე კომპანიის მიერ აქტივის გამოყენების პროცესში. ასეთ შემთხვევაში გადატანილი ნამეტის თანხა იქნება სხვაობა აქტივის გადაფასებული ღირებულებიდან გაანგარიშებულ ცვეთის თანხასა და მისი თავდაპირველი თვითღირებულების მიხედვით გაანგარიშებულ ცვეთის თანხას შორის. გადაფასების ნამეტის თანხის გადატანა გაუნაწილებელი მოგების ანგარიშზე არ აისახება მოგებაში ან ზარალში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიკუთვნებადია აქტივის შეძენაზე, მშენებლობაზე ან შექმნაზე რასაც მნიშვნელოვანი დრო სჭირდება განზრახული მიზნით მოხმარებისათვის ან გასაყიდად მოსამზადებლად, დაემატება ამ აქტივების ღირებულებას იმ დრომდე, როდესაც მსგავსი აქტივები არსებითად მზად არის მათთვის განზრახული გამოყენების ან გაყიდვისთვის.

არამატერიალური აქტივები. კომპანიის არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივებს, რომლებიც აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

შემდგომი დანახარჯის კაპიტალიზაცია ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ზრდის მასთან დაკავშირებულ კონკრეტულ აქტივში განივთებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. ყველა სხვა დანახარჯი, მათ შორის ჯგუფის შიგნით გენერირებულ გუდვილსა და ბრენდებზე გაწეული ხარჯები, აღიარდება მოგებაში ან ზარალში მათი გაწევისთანავე.

ამორტიზაცია გამოითვლება აქტივის თვითღირებულების მიხედვით, მისი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით. ამორტიზაცია, როგორც წესი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, არამატერიალური აქტივების მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში

ამორტიზაციის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაიხედება და, შესაბამის შემთხვევაში კორექტირდება.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივებს, რომლებსაც ერიცხება ცვეთა და ამორტიზაცია, გაუფასურებაზე აფასებენ მაშინ, როდესაც მოვლენების ან გარემოებების ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ თანხის ოდენობით, რა თანხითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალურ ღირებულებასა და მის გამოყენებით მისაღებ ღირებულებას შორის უდიდესი.

აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივიდან არ ხდება ფულადი სახსრების შემოდინება, რომლებიც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფიდან მიღებული ფულადი სახსრებისგან. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე.

გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. გაყიდვების ხარჯით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების გათვალისწინებით.

მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდგომი შეფასებისას ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად ნორმატიული დანაკარგების გათვალისწინებით. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო გადასახადი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილ მეთოდს.

ფინანსური ინსტრუმენტები. ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება აღრიცხვის სამ კატეგორიაში:

1) ფინანსური აქტივები, რომელთა შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზირებული ღირებულებით (SPPI);
2) ფინანსური აქტივები, რომელთა შემდგომი აღრიცხვა ხდება რეალური ღირებულებით ეფექტის სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI) და

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

3) ფინანსური აქტივები, რომელთა შემდგომი აღრიცხვა ხდება რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასასვით (FVPL).

ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციას განსაზღვრავს კომპანიის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელი და გაითვალისწინება წარმოადგენს თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდებს (SPPI). თუ სავალო ინსტრუმენტი ფლობილია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით, შესაძლებელია მისი ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხვა, თუ იგი იმავდროულად აკმაყოფილებს SPPI-ს მოთხოვნას. სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც აკმაყოფილებენ SPPI მოთხოვნას და არის ისეთი პორტფელის შემადგენლობაში, რომელსაც კომპანია ფლობს როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისთვის, ისე გასაყიდად, მაშინ შეიძლება კლასიფიცირდეს, როგორც FVOCI. ფინანსური აქტივები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ SPPI-ს მოთხოვნებს, უნდა შეფასდეს FVPL-ით (მაგალითად, წარმოებულები). ჩართული წარმოებულების ფინანსური აქტივებისაგან განცალკევება აღარ ხდება, მაგრამ გათვალისწინებული იქნება SPPI პირობის შეფასებისას. წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციები ყოველთვის რეალური ღირებულებით ფასდება. თუმცა, ხელმძღვანელობას შეუძლია გააკეთოს შეუქცევადი არჩევანი, რათა სამართლიანი ღირებულების ცვლილებები წარადგინოს სხვა სრულ შემოსავალში, თუკი მოცემული ინსტრუმენტი გასაყიდად არ არის გამიზნული. როდესაც წილობრივი ინსტრუმენტი ფლობილია გასაყიდად, სამართლიანი ღირებულების ცვლილებების წარდგენა ხდება მოგება-ზარალში. კომპანია სავალო ინვესტიციებს კლასიფიკაციას უცვლის მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ბიზნეს მოდელი ამ აქტივების სამართავად იცვლება.

- **აღიარება და აღიარების შეწყვეტა.** კომპანია აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა კომპანია ხდება სახელშეკრულებო პირობების ერთ-ერთი მხარე. ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში ფინანსური აქტივების შესყიდვებისა და გაყიდვების აღიარება ხდება ვაჭრობის დღეს, რომელ დღესაც კომპანია იღებს ვალდებულებას, რომ შეისყიდის ან გაყიდის აქტივს. ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც უფლებას, მიიღოს ფულადი ნაკადები ფინანსური აქტივებიდან, ვადა გაუვა ან სხვას გადასცემს და ამავე დროს გადაეცემა აქტივის ფლობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი.

კომპანია ამოიღებს ფინანსურ ვალდებულებას (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილს) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან, მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ის შეწყდება, ანუ როდესაც კონტრაქტით განსაზღვრული ვალდებულება შესრულებულია, გაუქმდება ან ვადა გაუვა. სავალო ინსტრუმენტის განახლება არსებითად განსხვავებული პირობებით, აღირიცხება როგორც შეწყვეტა ძველი ვალდებულებისა და აღიარება ახალი ვალდებულების. ანალოგიურად, არსებული ფინანსური ვალდებულების ან მისი ნაწილის პირობების არსებითი მოდიფიცირება (თუნდაც მაშინ, როდესაც ეს გამოწვეულია მსესხებლის ფინანსური სირთულეების გამო), აღირიცხება როგორც შეწყვეტა ძველი ფინანსური ვალდებულებისა და აღიარება ახალი ფინანსური ვალდებულების. განსხვავება შეწყვეტილი ან სხვაზე გადაცემული ფინანსური ვალდებულების (ან მისი ნაწილის) საბალანსო ღირებულებასა და გარიგების თანხას შორის, გადაცემული/აღებული არაფულადი აქტივების/ვალდებულებების ჩათვლით, აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში.

- **ღირებულების განსაზღვრა.** საწყისი აღიარებისას კომპანია ფინანსური აქტივის ღირებულებას განსაზღვრავს რეალური ღირებულებით, იმ შემთხვევაში როცა ფინანსური აქტივი არ არის აღრიცხული რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის უწყისში ასახვით (FVPL), ტრანზაქციის დანახარჯები, რომელიც პირდაპირ მიკუთვნებადია ფინანსური აქტივის შეძენაზე ემატება ღირებულებას. ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც აღიარებულია რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის უწყისში ასახვით, გარიგების დანახარჯების აღიარება ხდება ხარჯად მოგება-ზარალის უწყისში.

გარიგების დანახარჯები არის წმინდა დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გაყიდვას. წმინდა დანახარჯი არის დანახარჯი, რომელიც არ იქნებოდა, თუ მოცემული ოპერაცია არ განხორციელდებოდა. გარიგების დანახარჯები მოიცავს აგენტების (რწმუნებულების) (მათ შორის, გაყიდვის აგენტების რანგში მოქმედი დაქირავებული პირების), კონსულტანტების, ბროკერებისა და დილერებისთვის გადახდილ საზღაურსა და საკომისიოებს, მარეგულირებელი ორგანოებისა და საფონდო ბირჟების მოსაკრებლებს, ასევე გადაცემის გადასახადებსა და მოსაკრებლებს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავს სავალო ფინანსური ინსტრუმენტების პრემიებსა და დისკონტებს, დაფინანსების დანახარჯებსა და შიდა ადმინისტრაციულ დანახარჯებს, ან ფლობის დანახარჯებს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება მომავალში, ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი ვადის განმავლობაში, გადასახდელი ან მისაღები შეფასებული ფულადი ნაკადები, ფინანსური აქტივის მთლიან (ბრუტო) საბალანსო ღირებულებამდე, ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირდება ცვალებადი საპროცენტო ინსტრუმენტების ფულადი ნაკადები პროცენტის შემდეგი ფასწარმოქმნის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან ფასდაკლებისა, რაც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტის მითითებულ მერყევ განაკვეთზე, ან სხვა ცვლადებზე, რომელთა მნიშვნელობის საბაზრო განაკვეთების მიხედვით განსაზღვრა არ ხდება. მსგავსი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიანი მომსახურების ვადის განმავლობაში. დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეების მიერ ყველა გადახდილ ან მიღებულ საფასურს, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. ფინანსური აქტივები მასში ჩანერგილი წარმოებულებით განიხილება ერთობლოიობაში, რათა განისაზღვროს მასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირისა და პროცენტის მიღებას.

სავალო ინსტრუმენტების შემდგომ შეფასება დამოკიდებულია კომპანიის ბიზნეს მოდელზე, რომელიც გულისხმობს აქტივებისა და აქტივების ფულადნაკადობრივი მახასიათებლების მართვას. არსებობს შეფასების სამი კატეგორია, რომლის მიხედვითაც კომპანია ახდენს სავალო ინსტრუმენტების კლასიფიკაციას:

- **ამორტიზირებული ღირებულება.** აქტივები, რომლებსაც კომპანია ფლობს საკონტრაქტო ფულადი ნაკადების მისაღებად, სადაც აღნიშნული ფულადი ნაკადები წარმოადგენენ მხოლოდ ძირისა და პროცენტის ანაზღაურებას, აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით. ამ ფინანსური აქტივებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი მიეკუთვნება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით განსაზღვრულ ფინანსურ შემოსავალს. ფინანსური აქტივების აღიარების შეწყეტიდან წარმოშობილი შემოსულობები და დანაკარგების აღიარება ხდება პირდაპირ მოგება-ზარალში. გაუფასურების ხარჯები ცალკე მუხლად არის წარმოდგენილი მოგება-ზარალის უწყისში.
- **FVOCI** აქტივები, რომლის ფლობის მიზანსაც წარმოადგენს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და გაყიდვა და ამავე დროს ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირს და პროცენტს წარმოადგენს ფასდება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI). ყველა ცვლილება აისახება სხვა სრულ შემოსავალში გარდა გაუფასურებასთან დაკავშირებული შემოსულობის/ზარალისა, საპროცენტო შემოსავლისა და საკურსო სხვაობებისა, რაც აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში. ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტისას ამ პერიოდამდე სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული შემოსულობა/ზარალი გადაკლასიფიცირდება მოგება-ზარალის უწყისში. ასეთ ფინანსურ ინსტრუმენტებზე საპროცენტო შემოსავლის აღიარება ხდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.
- **FVPL**. აქტივები, რომლებიც არ შეესაბამებიან ამორტიზირებული ღირებულებების ან FVOCI-ის კრიტერიუმებს ფასდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით (FVPL).

წილობრივი ინსტრუმენტები. წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციები ყოველთვის რეალური ღირებულებით ფასდება. თუმცა, მენეჯმენტს შეუძლია გააკეთოს შეუქცევადი არჩევანი, რათა რეალური ღირებულების ცვლილებები წარადგინოს სხვა სრულ შემოსავალში, თუკი მოცემული ინსტრუმენტი გასაყიდად არ არის გამიზნული. როდესაც წილობრივი ინსტრუმენტი ფლობილია გასაყიდად, რეალური ღირებულებების ცვლილებების წარდგენა ხდება მოგება-ზარალში.

- **გაუფასურება.** კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მეთოდს რათა გაზომოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც თავის მხრივ იყენებს სრული ვადის განმავლობაში მოსალოდნელ ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო მოთხოვნისთვის. კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად იყენებს მოთხოვნების ინდივიდუალური შეფასების მიდგომას. კომპანია მოთხოვნას მიმდინარედ განიხილავს წარმოშობიდან სამი თვის განმავლობაში.
- **ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია**. კომპანიის ფინანსური აქტივები ყველა წარდგენილი ანგარიშგების თარიღისთვის ხვდება იმ კატეგორიაში რომელიც თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდგომ ამორტიზირებული ღირებულებით და მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს, ფულად სახსრებს და მათ ექვივალენტებს.
- **ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია**. ფინანსურ ვალდებულებებს შემდეგი შეფასების კატეგორიები გააჩნიათ: ა) გასაყიდად ფლობილი, რომელიც მოიცავს აგრეთვე ფინანსურ წარმოებულებს და ბ) სხვა ფინანსური ვალდებულებები.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გასაყიდად ფლობილი ვალდებულებები წარმოდგენილია რეალური ღირებულებით, ცვლილებები რეალურ ღირებულებაში აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში იმ პერიოდში როდესაც წარმოიქმნა (FVPL).

ფინანსური ვალდებულებების რეალურ ღირებულებაში ცვლილებები, იმ დროს როდესაც კომპანია იყენებს FVPL-ს მოდელს, შეუქცევადად აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში (OCI), თუ:

- სხვა სრულ შემოსავალში წარდგენა წარმოქმნის ან გაზრდის მოგება-ზარალში სააღრიცხვო შეუსაბამობებს; ან

- ვალდებულება არის სავალო ვალდებულება ან ფინანსური გარანტიის კონტრაქტი.

- **ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა**. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზების და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთგადაფარვის მსგავსი უფლება (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში: 1) ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობისას; 2) დეფოლტისას; 3) გადახდისუუნარობის ან გაკოტრებისას.

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები გამოხატულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული თვითღირებულებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შეძენისთვის წინასწარი გადახდა გარდაიქმნება აქტივის მიმდინარე საბალანსო ღირებულებად, მას შემდეგ, რაც კომპანიამ მიიღო კონტროლი აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა კომპანიას. თუ არსებობს საფუძველი, რომ წინასწარ გადახდილი თანხის სანაცვლოდ არ მოხდება საქონლის ან მომსახურების მიღება, ხდება ავანსის გადაფასება და საკურსო სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო-კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

იჯარა. ხელშეკრულების დაწყებისას კომპანია აფასებს მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. ხელშეკრულება მთლიანად არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ. იმის შესაფასებლად ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა კომპანია აფასებს:

- გულისხმობს თუ არა ხელშეკრულება იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენებას

- კომპანიას აქვს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება. კომპანიას უფლება აქვს განსაზღვროს როგორ და რა მიზნით გამოიყენება აქტივი გამოყენების პერიოდის განმავლობაში. იშვიათ შემთხვევებში, როდესაც წინასწარ არის დადგენილი შესაბამისი გადაწყვეტილებები იმის თაობაზე, როგორ და რა მიზნით გამოიყენება აქტივი, კომპანიას აქვს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება თუ:

(i) კომპანიას აქვს აქტივის ექსპლუატაციის უფლება;

(ii) კომპანიამ იმგვარად დააპროექტა აქტივი (ან აქტივის გარკვეული ასპექტები), რაც თავად განსაზღვრავს, როგორ და რა მიზნით იქნება გამოყენებული აქტივი გამოყენების პერიოდის განმავლობაში.

როდესაც კონტრაქტი შეიცავს იჯარის კომპონენტს, მისი საწყისი აღიარებისას ან შემდგომ შეფასებისაზე კომპანია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ანაზღაურებას ანაწილებს თითოეულ საიჯარო კომპონენტზე საიჯარო კომპონენტების განცალკევებული შედარებითი ფასების საფუძველზე. თუმცა მიწისა და შენობის იჯარის შემთხვევაში, კომპანია არ აცალკევებს ისეთ კომპონენტებს, რომლებიც არ შეიცავს იჯარას და შესაბამისად ორივე ტიპის კომპონენტს აღრიცხავს როგორც ერთ განცალკევებულ კომპონენტს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კომპანია, როგორც მოიჯარე

თავდაპირველი აღიარება. კომპანია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის აღიარებს აქტივს გამოყენების უფლებით და საიჯარო ვალდებულებას. იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის კომპანია აქტივის გამოყენების უფლებას აფასებს თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების საწყის ღირებულებულებას დაკორექტირებული საიჯარო გადახდებით, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით, მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებით და იმ დანახარჯებით, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს.

ცვეთა. აქტივის გამოყენების უფლების ამორტიზაცია ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე, იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის ამოწურვამდე ან იჯარის ვადამდე. აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების განსაზღვრისას კომპანია იყენებს იგივე მიდგომებს, როგორც ძირითად საშუალებებზე. კომპანია აქტივის გამოყენების უფლებას პერიოდულად ამცირებს გაუფასურების ზარალით, თუ არსებობს საიჯარო ვალდებულებების ხელახალი შეფასების საჭიროება.

აქტივის გამოყენების უფლება	**სასარგებლო მომსახურების ვადა**
რესტორნები	6-49 წელი

შემდგომი შეფასება. იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება ხორციელდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება. თუ ამ განაკვეთის ადვილად განსაზღვრა შეუძლებელია, კომპანია იყენებს ზღვრულ სასესხო განაკვეთს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების უფლებასთან დაკავშირებულ შემდეგი სახის გადახდებს, რომლებიც განხორციელებული არ არის იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის:

ა) ფიქსირებულ გადახდებს, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;

ბ) ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, რომლებიც თავდაპირველად შეფასებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ინდექსის, ან განაკვეთის გამოყენებით;

გ) თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით;

დ) შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას;

ე) იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმების გადახდას, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ კომპანია საიჯარო ვალდებულებას აფასებს ამორტიზირებული ღირებულებით, რომელიც კორექტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. კომპანია ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებებს როდესაც შეიცვლება თანხები, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიის პირობის ფარგლებში ან როდესაც შეიცვლება კომპანიის შეფასება კონტრაქტის გაყიდვის, გაგრძელების ან შეწყვეტის უფლების შესახებ.

კომპანია საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებულ თანხას აღიარებს, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირებას. თუმცა, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, მოიჯარემ ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა აღიაროს მოგება/ზარალში.

კომპანია ფინანასური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარადგენს აქტივის გამოყენების უფლებას რომელიც არ აკმაყოფილებს საინვესტიციო ქონების განმარტებას და საიჯარო ვალდებულებას.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მოკლევადაინი და დაბალი ღირებულების მქონე იჯარები. კომპანიამ გათავისუფლების უფლება და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივებს და იჯარებს, რომელთა ვადა იწურება სტანდარტის პირველადი გამოყენებიდან მომდევნო 12 თვეში, არ აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებად. კომპანია ასეთ საიჯარო გადახდებს აღიარებს ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით ან რომელიმე სხვა სისტემატური საფუძვლით.

მოგების გადასახადი. 2016 წელს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ რომლის მიხედვითაც კომპანიები, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება-ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

ამონაგების მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან. კომპანია ოპერირებს, როგორც სწრაფი კვების ობიექტების ქსელი და შემოსავლებს იღებს სწრაფი კვების პროდუქტების რეალიზაციიდან, სადაც კონტროლი მომხმარებელს გადაეცემა სალაროსთან პროდუქტის შეძენისას, დროის გარკვეულ მომენტში. უმეტესად ოპერაციის ღირებულების გადახდა ხდება ნაღდი ფულით ან საბანკო ბარათის მეშვეობით.

ამასთან, კომპანია იყენებს ქვეკონტრაქტორს, პროდუქტების მომხმარებლამდე მისატანად. როდესაც ქვეკონტრაქტორი მიიღებს პროდუქტს, კონტროლი გადაეცემა ქვეკონტრაქტორს, რაც კომპანიისთვის წარმოადგენს მტკიცებულებას, რომ კონტროლის გადაცემის ყველა კრიტერიუმი კმაყოფილდება და შემოსავალს აღიარებს დროის გარკვეულ მომენტში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ყველა შეთანხმებაში კომპანია არის მარწმუნებელი და შემოსავალს აღიარებს მთლიანი ანაზღაურებით.

მომხმარებელთა წახალისების პროგრამები. კომპანიამ დანერგა მომხმარებელთა წახალისების პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ყოველ დახარჯულ 1 ლარზე მომხმარებელი აგროვებს 100 ქულას, რომელიც შემდგომ შეუძლია გადაცვალოს სპეციფიურ პროდუქციაში. აღნიშნული ქულები, წარმოადგენს ცალკე შესასრულებელ ვალდებულებას, ვინაიდან ის მომხარებელს უზრუნველყოფს არსებითი უფლებით პროდუქციაზე. გაუხარჯავი ქულები უქმდება მიღებიდან 1 წელიწადში. კომპანია ანაწილებს გარიგებისს ფასს ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებულ თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებასა და არსებით უფლებას შორის, განცალკევებით გასაყიდი შედარებითი ფასების საფუძველზე. არსებით უფლებაზე მიკუთვნებული ღირებულება თავდაპირველად აღიარდება, როგორც საკონტრაქტო ვალდებულება და საწარმო ამონაგებს მხოლოდ მაშინ აღიარებს, როდესაც ამგვარ სამომავლო საქონელს, გადასცემს, მომხმარებელს.

საკონტრაქტო აქტივები. როდესაც კომპანია მომხმარებელს გადასცემს საქონელს/მომსახურებას მომხმარებლის მიერ საქონლის საფასურის გადახდამდე ან გადახდის ვადის მოსვლამდე, კომპანია გარიგებას აღრიცხავს როგორც კონტრაქტულ აქტივს, გარდა იმ თანხისა, რომელიც წარმოდგენილია როგორც მისაღები დებიტორული დავალიანება.

საკონტრაქტო ვალდებულებები. მომახმარებლებისგან მიღებული ავანსები ან კომპანიის უპირობო უფლებები საქონლის გადაცემამდე კლიენტებისგან კომპენსაციის მიღებაზე აღიარდება როგორც კონტრაქტული ვალდებულებები. კონტრაქტული ვალდებულებები აღირიცხება ავანსის გადახდისას ან გადახდის ვადის დადგომისას (ამ ორიდან რომელიც უფრო ადრე მოხდება). კონტრაქტული ვალდებულებები წარმოადგენენ კომპანიის ვალდებულებას, მომხმარებლებს გადასცენ საქონელი, რომლის სანაცვლოდაც კომპანიას მიღებული აქვს კომპენსაცია (ან კომპენსაციის გადახდის ვადა დამდგარია).

აქტივის დაბრუნების უფლება. ეს არის კომპანიის უფლება აღადგინოს მომხმარებლისგან დაბრუნებული მარაგის ღირებულება. ის აღირდება დასაბრუნებელი აქტივის თვითღირებულებით, შემცირებული დაბრუნების გამო აქტივის ღირებულების შემცირებით ან მარაგის მობრუნებასთან დაკავშირებული ხარჯებით.

აქტივის დაბრუნებასთან დაკავშირებული ვალდებულებები. ეს არის კომპანიის ვალდებულება რომ დაუბრუნოს მომხმარებელს მიღებული ან მისაღები ანაზღაურება სრულად ან ნაწილობრივ და აღიარდება იმ თანხით, რისი დაბრუნების მოლოდინიც აქვს კომპანიას ანგარიშგების თარიღისთვის. კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ანახლებს შეფასებებს რაც გამოიყენება ამ ვალდებულებების აღსარიცხავად. კონტრაქტის გაფორმების დამატებითი ხარჯები. კომპანია მომხმარებელთან კონტრაქტის გაფორმების დამატებით ხარჯებს აღიარებს, როგორც აქტივს იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია მისი ამორტიზირება თორმეტ თვეზე დიდი პერიოდის განმავლობაში.

კონტრაქტის გაფორმების დამატებით ხარჯებს წარმოადგენს ის ხარჯები, რომლებსაც კომპანია გასწევს მომხმარებელთან კონტრაქტის გაფორმებისთვის და რომლის გაწევის აუცილებლობა არ წარმოიშობოდა თუ არ მოხდებოდა კონტრაქტის გაფორმება. კონტრაქტის გაფორმების დამატებითი ხარჯები, რომელთა გაწევა მოხდებოდა მიუხედავად იმისა, გაფორმდა თუ არა კონტრაქტი, აღირიცხება ხარჯებად მათი გაწევისას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული ხარჯების გაწევა სრულად ხორციელდება მომხმარებლის მიერ მიუხედავად იმისა, გაფორმდება თუ არა კონტრაქტი. კომპანიას საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში არ ქონია კონტრაქტის გაფორმებასთან დაკავშირებული ხარჯები.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყინულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **რეზერვი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის სავაჭრო მოთხოვნებსა და სახელშეკრულებო აქტივებზე**

კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მეთოდს რათა გაზომოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც თავის მხრივ იყენებს სრული ვადის განმავლობაში მოსალოდნელ ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო მოთხოვნისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, კომპანიამ გამოიყენა ინდივიდუალური მიდგომა მოთხოვნებისა და ავანსებისათვის, მოსალოდნელი დანაკარგები შეფასებულ იქნა როგორც ნული ყველა საანგარიშგებო პერიოდისთვის.

- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.**

აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. თუ აქტივის გამოყენების ვადა შეზღუდულია რაიმე სახის საკონტრაქტო ვალდებულებით, მისი გაცვეთა ხდება საკონტრაქტო პერიოდზე.

- **საგადასახადო კანონმდებლობა.**

მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

- **საიჯარო ხელშეკრულებების პირობების განსაზღვრა**

გამოყენების უფლებით მიღებული აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას მენეჯმენტი ეყრდნობა შეუქცევადი იჯარის ვადას დაკორექტირებულს ნებისმიერ სხვა პერიოდთან ერთად რომელზეც ვრცელდება იჯარის გახანგრძლივების ფუნქცია თუ არსებობს გონივრული რწმენა იმისა, რომ ამგვარი ფუნქციით კომპანია ისარგებლებს ან ნებისმიერი ისეთი პერიოდის გათვალისწინებით, რომელზეც ვრცელდება იჯარის შეწყვეტის ფუნქცია თუ მისი გამოყენების გონივრული რწმენა არ არსებობს.

საიჯარი ვალდებულების შესაფასებლად კომპანიას არ შეუძლია განსაზღვროს იჯარაში შემავალი ზღვრული საპროცენტო განაკვეთი და იყენებს ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს. რაც წარმოადგენს ისეთ საპროცენტო განაკვეთს, რომლის გადახდაც მოუწევდა მსგავსი ღირებულების აქტივის მისაღებად საჭირო თანხის მოსაზიდად.

- **მომხმარებელთა წახალისების პროგრამები.**

კომპანია ანაწილებს გარიგებისს ფასს პროდუქტსა და ქულებს შორის, განცალკევებით გასაყიდი შედარებითი ფასების საფუძველზე. მენეჯმენტი თითოეული ქულის განცალკევებითი გასაყიდი ფასის შეფასებისთვის იყენებს გასანაღდებელი პროდუქციის საშუალო ღირებულებას და ქულების განაღდების ალბათობას, რომელიც საწყის ეტაპზე შეფასებულია როგორც 100%.
პროდუქციის განცალკევებით გასაყიდი ფასი წარმოადგენს მის საცალო სარეალიზაციო ფასს.

- **რეალური ღირებულების განსაზღვრა**

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისათვის მოითხოვება რეალური ღირებულებით შეფასება და განმარტება. კერძოდ მიწა და შენობა შეფასებულია რეალური ღირებულებით.

ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულებით შეფასებისათვის კომპანია იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. სამართლიანი ღირებულებები ჯგუფდება სხვადასხვა დონეების მიხედვით სამართლიანი ღირებულების იერარქიაში, შეფასების მეთოდოლოგიებში გამოყენებული ინფორმაციის საფუძველზე

დონე 1: აქტიურ ბაზარზე იდენტური ერთეულის კოტირებული ფასების გამოყენებით (არაკორექტირებული)

დონე 2: შემავალი მონაცემები გარდა იმისა, რაც შესულია პირველ დონეში და რომლებიც ხელმისაწვდომია აქტივისა და ვალდებულებისთვის, როგორც პირდაპირ (მაგ. ფასები), ასევე ირიბად (მაგ. ფასებისგან წარმოებული).

დონე 3: მონაცემები აქტივისა და ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები).

იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივისა ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული მონაცემების დაჯგუფება შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების სხვადასხვა დონეებში, მაშინ სამართლიანი ღირებულების შეფასების დაჯგუფება ხდება მთლიანობაში, სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეში, რომელშიც ყველაზე დაბალი დონის მონაცემებია, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

5. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ამოქმედებული

კომპანიას ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში არ მოუხდენია ნაადრევი გამოყენება იმ ახალი სტანდარტების, ინტერპრეტაციების და ცვლილებების, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის შესული ძალაში. მოსალოდნელია, რომ ქვემოთ მოცემულია ახალი და კორექტირებული სტანდარტები, არ მოახდენენ მნიშვლენოვან გავლენას მომავალში კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი გამიზნულ გამოყენებამდე (ბასს-16-ის კორექტირება);
- კონცეპტუალური ჩარჩოს მითითებები (ფასს 3-ის კორექტირება);
- წლიური გაუმჯობესებები ფასს-ებში 2018-2020
- ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე და გრძელვადიანის სახით (ბასს 1-ის კორექტირებები);
- ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებები და კორექტირებები სადაზღვევო ხელშეკრულებებში.
- სააღრიცხო შეფასების განმარტება (ცვლილება ბასს 8-ში)

6. ძირითადი საშუალებები

ისტორული ღირებულება	შენობები და მიწები	მიწისა და შენობის გარე გაუმჯობესებები	რესტორნის აღჭურვილობა და დანადგარები	რესტორნის ავეჯი	ოჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	ოფისის ავეჯი და აღჭურვილობა	დაუმთავრებელი მშენებლობა	სხვა	სულ
31 დეკემბერი 2019	**78,942,048**	**1,555,440**	**22,764,953**	**10,207,065**	**9,347,740**	**5,430,164**	**3,300,020**	**441,646**	**131,989,076**
შემოსვლა	242,338	26,342	3,759,266	1,454,980	152,768	1,196,332	8,191,609	-	15,023,635
სესხის პროცენტის კაპიტალიზაცია	313,999	-	-	-	-	-	-	-	313,999
დაუმთავრებელი მშენებლობიდან გადმოტანა	4,180,420	2,136,365	4,906,806	2,595,369	-	22,594	(10,802,096)	910,068	3,949,526
გადაფასების რეზერვი	7,901,210	-	-	-	-	-	-	-	7,901,210
გადაფასებიდან მიღებული ზარალი	(982,025)	-	-	-	-	-	-	-	(982,025)
ჩამოწერა	-	(9,105)	(4,466)	-	-	(3,540)	-	(101,020)	(118,131)
31 დეკემბერი 2020	**90,597,990**	**3,709,042**	**31,426,559**	**14,257,414**	**9,500,508**	**6,645,550**	**689,533**	**1,250,694**	**158,077,290**
შემოსვლა	231,549	21,893	512,567	31,221	590,430	561,552	140,183	3,383	2,092,778
დაუმთავრებელი მშენებლობიდან გადმოტანა	-	-	316,183	-	-	-	(316,183)	-	-
გასვლა	-	-	(34,772)	(12,143)	-	(16,702)	-	-	(63,617)
31 დეკემბერი 2021	**90,829,539**	**3,730,935**	**32,220,537**	**14,276,492**	**10,090,938**	**7,190,400**	**513,533**	**1,254,077**	**160,106,451**
დაგროვილი ცვეთა									
31 დეკემბერი 2019	**-**	**(309,513)**	**(9,602,672)**	**(6,026,512)**	**(1,262,588)**	**(2,970,117)**	**-**	**(185,994)**	**(20,357,396)**
შემოსვლა	(1,262,200)	(127,044)	(2,954,977)	(1,179,419)	(485,126)	(915,998)	-	(65,950)	(6,990,714)
გადაფასება	1,262,200	-	-	-	-	-	-	-	1,262,200
გასვლა	-	-	3,947	-	-	392	-	65,824	70,163
31 დეკემბერი 2020	**-**	**(436,557)**	**(12,553,702)**	**(7,205,931)**	**(1,747,714)**	**(3,885,723)**	**-**	**(186,120)**	**(26,015,747)**
ცვეთის ხარჯი	(1,413,302)	(493,228)	(3,294,322)	(1,244,232)	(602,101)	(1,001,317)	-	(52,387)	(8,100,889)
გასვლა	-	-	33,590	11,935	-	11,853	-	-	57,378
31 დეკემბერი 2021	**(1,413,302)**	**(929,785)**	**(15,814,434)**	**(8,438,228)**	**(2,349,815)**	**(4,875,187)**	**-**	**(238,507)**	**(34,059,258)**
საბალანსო ღირებულება									
31 დეკემბერი 2020	**90,597,990**	**3,272,485**	**18,872,857**	**7,051,483**	**7,752,794**	**2,759,827**	**689,533**	**1,064,574**	**132,061,543**
31 დეკემბერი 2021	**89,416,237**	**2,801,150**	**16,406,103**	**5,838,264**	**7,741,123**	**2,315,213**	**513,533**	**1,015,570**	**126,047,193**

6. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ყველა ძირითადი საშაუალება, ჩადებული იყო სს თიბისი ბანკისგან მიღებული სესხების უზრუნველყოფაში. მიწის რეალური ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 40,695,372 ლარს, შენობების - 49,902,618. 2021 წელს კომპანიამ გადაწყვიტა არ შეეფასებინა აქტივების რეალური ღირებულება.

2020 წლის მეორე ნახევარში კომპანიამ, თბილისში გახსნა ორი ახალი რესტორანი. 2021 წელს ახალი რესტრონები კომპანიას არ გაუხსნია.

თუ შენობები და მიწები აღრიცხული იქნებოდა ისტორიული ღირებულების მოდელის მიხედვით, ნაშთები წარმოდგენილი იქნებოდა შემდეგნაირად:

შენობები და მიწები	**2021**	**2020**
ისტორიული ღირებულება	55,451,838	55,220,291
დაგროვილი ცვეთა	(9,936,225)	(8,351,887)
საბალანსო ღირებულება	**45,515,613**	**46,868,404**

7. აქტივის გამოყენების უფლება

აქტივის გამოყენების უფლება წარმოდგენილია შენობები და მიწების კატეგორიაში.

	მიწა	შენობა	სულ
31 დეკემბერი 2019	**732,298**	**10,357,689**	**11,089,987**
შემოსვლა	-	-	-
ცვეთის ხარჯი	(58,711)	(728,077)	(786,788)
31 დეკემბერი 2020	**673,587**	**9,629,612**	**10,303,199**
შემოსვლა	116,207	-	116,207
ცვეთის ხარჯი	(86,053)	(728,077)	(814,130)
31 დეკემბერი 2021	**703,741**	**8,901,535**	**9,605,276**

კომპანიას იჯარით აქვს აღებული 6 რესტორანი და 9 მიწის ნაკვეთი თბილისში, ქუთაისში და ბათუმში. საიჯარო გადასახდელები ამ ფართებზე არის ფიქსირებული საიჯარო ვადის განმავლობაში, გარდა 2 რესტორნისა, რომლის გადასახდელიც დამოკიდებულია სამომხმარებლო ფასების ინდექსზე და მიბმულია რესტორნის შემოსავალზე.

მოგება ზარალის ანგარიშგებაში აღიარებული თანხები:

	2021
გამოყენების უფლებით მიღებული აქტივების ცვეთის ხარჯი	814,130
საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი	1,156,917
მოკლევადიან იჯარასთან დაკავშირებული ხარჯები	247,062
საიჯარო შეღავათის ეფექტი	(170,444)
ცვლად იჯარასთან დაკავშირებული ხარჯები	295,424
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების ეფექტი	(662,686)

8. არამატერიალური აქტივები

ისტორიული ღირებულება	ფრანჩაიზინგი	საბუღალტრო და სხვა პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
31 დეკემბერი 2019	**2,065,094**	**901,854**	**2,966,948**
შემოსვლა	276,265	64,136	**340,401**
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2020	**2,341,359**	**965,990**	**3,307,349**
შემოსვლა	-	-	-
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2021	**2,341,359**	**965,990**	**3,307,349**
დაგროვილი ამორტიზაცია			
31 დეკემბერი 2019	**(474,334)**	**(465,715)**	**(940,049)**
წლის განმავლობაში დარიცხული ამორტიზაცია	(91,866)	(99,465)	(191,331)
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2020	**(566,200)**	**(565,180)**	**(1,131,380)**
წლის განმავლობაში დარიცხული ამორტიზაცია	(101,034)	(104,368)	(205,402)
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2021	**(667,234)**	**(669,548)**	**(1,336,782)**
საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი 2020	**1,775,159**	**400,810**	**2,175,969**
31 დეკემბერი 2021	**1,674,125**	**296,442**	**1,970,567**

2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ყველა არამატერიალური აქტივი, გარდა ფრანჩაიზინგისა, ჩადებული იყო სს თიბისი ბანკისგან მიღებული სესხების უზრუნველყოფაში.

ფრენჩაიზინგის ხელშეკრულების თანახმად, კომპანიის ვალის საკუთარ კაპიტალთან თანაფარდობის კოეფიციენტი არ უნდა იყოს 3:2-ზე მეტი. დამატებითი ინფორმაცია მოცემულია 23-ე შენიშვნაში.

9. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31 დეკემბერი 2021	**31 დეკემბერი 2020**
საკვები ინგრედიენტები	1,075,289	941,547
რესტორნის სახარჯი მარაგები	575,190	435,192
შესაფუთი მასალები	291,680	230,093
სათამაშოები	57,418	63,356
სხვა	320,222	345,630
სულ	**2,319,799**	**2,015,818**

სასაქონლი მატერიალური ფასეულობები ჩადებულია სს თიბისი ბანკისგან მიღებული სესხების უზრუნველყოფაში.

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სავაჭრო მოთხოვნები	1,786,575	1,382,022
სხვა მოთხოვნები	823,662	25,584
ფინანსური აქტივები, ნეტო	**2,610,237**	**1,407,606**
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	925,502	906,855
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები, ნეტო	**925,502**	**906,855**
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ნეტო	**3,535,739**	**2,314,461**

ფინანსური აქტივების სამართლიანი ღირებულება საბალანსო ღირებულების იდენტურია აქტივების მოკლევადიანობიდან გამომდინარე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ანალიზი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ინდივიდუალურად შეფასებული მოთხოვნები	**3,432,869**	**1,407,606**
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	-	-
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი	**0%**	**0%**

სავაჭრო მოთხოვნები 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ იყო არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული.

კომპანია ფლობს 174,134 ლარის უზრუნველყოფას.

11. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტების ნაშთები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	3,145,805	3,009
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1,232,171	288,176
ფული სალაროში	486,195	282,175
ფული გზაში	46,057	28,857
სულ	**4,910,228**	**602,217**

ფული გზაში წარმოადგენს საბანკო ბარათებით გადახდებს, რაც 31 დეკემბრის მდგომარეობით არ არის ასახული კომპანიის საბანკო ანგარიშზე.

12. კაპიტალი

ინფორმაცია კომპანიის მეწილეების შესახებ წარმოდგენიალია პირველ შენიშვნაში

დივიდენდები

გამოცხადებული და გადახდილმა დივიდენდმა 2020 წელს შეადგინა 1,140,351 ლარი. 2021 წელს კომპანიას დივიდენდი არ გამოუცხადებია.

13. მიღებული სესხები

				31 დეკემბერი 2021		31 დეკემბერი 2020	
	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	ვადა	ძირი	პროცენტი	ძირი	პროცენტი
მიღებული სესხი ფინანსური ინსტიტუტიდან	EUR	*5.8%*	2021-2027	52,387,857	94,923	83,456,027	1,142,391
მიღებული სესხი ფინანსური ინსტიტუტიდან	GEL	*13%-13.5%*	2022-2028	23,720,573	1,439,304	6,362,600	253,770
მიღებული სესხი რეზიდენტი იურიდიული პირისგან	EUR	*13%*	2022-2027	1,638,120	29,230	3,165,955	43,151
მიღებული სესხი რეზიდენტი იურიდიული პირისგან	USD	*1%*	2023	-	572,570	547,916	546,880
				77,746,550	**2,136,027**	**93,532,498**	**1,986,192**

მიღებულ სესხებზე მოძრაობა წლების მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ:

	2021	2020
1 იანვარი	**95,518,690**	**60,678,326**
სესხის აღება	17,623,322	28,542,261
პროცენტის დარიცხვა	6,923,905	5,251,878
პროცენტის კაპიტალიზაცია	-	144,359
სესხის გადახდა	(24,403,447)	(12,059,195)
პროცენტის გადახდა	(6,877,394)	(4,095,382)
საკურსო სხვაობების ეფექტი	(8,902,499)	17,056,443
31 დეკემბერი	**79,882,577**	**95,518,690**

მნიშვნელოვანი ფინანსური კოვენანტები წარმოდგენილია ქვემოთ:

კომპანიამ აღებულ სესხებთან დაკავშირებით უნდა დააკმაყოფილოს ფინანსური კოვენანტები, რომლებიც უნდა დაითვალოს ბოლო 12 თვის მონაცემების მიხედვით:

- ვალის მომსახურების დაფარვის კოეფიციენტმა (Debt/EBITDA) არ უნდა შეადგინოს 3.5-ზე მეტი 2021 წლიდან
- EBIT თანაფარდობა საპროცენტო კოეფიციენტთან არ უნდა შეადგინოს 3-ზე ნაკლები
- ფინანსური ვალის კაპიტალთან თანაფარდობის კოეფიციენტმა (DSCR) არ უნდა შეადგინოს 1.2-ზე ნაკლები

2021 წელს კომპანიამ გაალარა ევროში ნომინირებული სესხების ნაწილი, რისთვისაც აიღო 15,518,100 ლარის ოდენობის სესხი.

მიუხედავად იმისა, რომ კომპანიამ დაფარა სს თიბისი ბანკის სესხის ნაწილი, მოძრავი და უძრავი ქონება რჩება უზრუნველყოფაში საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიების სასარგებლოდ

13. მიღებული სესხები (გაგრძელება)

კოვენანტები ხელშეკრულების თანახმად	**31 დეკემბერი 2021**
DSCR >1.2	1.3
ICR >3.0	2.1
Debt / EBITDA <3.5	3.5

კომპანიამ 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ფინანსური მდგომარეობა და დარღვეული იყო მხოლოდ ერთი ICR კოვენანტი.

მიუხედავად იმისა, რომ კომპანია 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ვერ აკმაყოფილებს ფინანსურ კოვენანტებს, მენეჯმენტს სჯერა, რომ გამსესხებელი არ მოითხოვს სესხის დაუყოვნებლივ დაბრუნებას და ადრეული გადახდის ვალდებულება არ დაუდგება.

მიღებული სესხები 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არის ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით, გარდა თიბისი ბანკისგან მიღებული სესხებისა. დამატებითი ინფორმაცია განმარტებულია 23-ე შენიშვნაში.

14. საიჯარო ვალდებულებები

კომპანიას გაფორმებული აქვს იჯარის ხელშეკრულებები ძირითადად რესტორნებისთვის უძრავი ქონების ქირაობაზე, რასაც იყენებს ძირითად საქმიანობაში. საიჯარო ვალდებულებები უზრუნველყოფილია მეიჯარის უფლებით საიჯარო აქტივებზე. ზოგიერთი იჯარის ხელშეკრულება შეიცავს ვადის გაგრძელების და შეწყვეტის უფლებას და ცვალებად საიჯარო გადახდებს, რომლებიც უფრო დაწვრილებით განხილულია ქვემოთ.

საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება და მოძრაობა პერიოდის განმავლობაში:

	მიწა	**შენობა**	**სულ**
31 დეკემბერი 2019	**758,683**	**11,390,393**	**12,149,076**
საპროცენტო ხარჯი	90,343	1,067,747	1,158,090
იაჯრის შეღავათის ეფექტი	-	(258,656)	(258,656)
იჯარასთან დაკავშირებული ვალდებულების დაფარვა	(57,568)	(1,255,379)	(1,312,947)
საკურსო სხვაობა	10,038	1,591,073	1,601,111
31 დეკემბერი 2020	**801,496**	**12,535,178**	**13,336,674**
შემოსვლა	116,207	-	116,207
საპროცენტო ხარჯი	99,735	1,057,182	1,156,917
იაჯრის შეღავათის ეფექტი	(36,480)	(133,964)	(170,444)
იჯარასთან დაკავშირებული ვალდებულების დაფარვა	(235,635)	(1,442,029)	(1,677,664)
საკურსო სხვაობა	(4,238)	(658,448)	(662,686)
31 დეკემბერი 2021	**741,085**	**11,357,919**	**12,099,004**

საიჯარო ვალდებულებები წლების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	**1 დან 5 წლამდე**	**5 წელი და მეტი**	**სულ**
საიჯარო გადახდები	1,712,751	6,521,566	13,115,422	**21,349,739**
საპროცენტო ხარჯი	(1,120,461)	(3,669,943)	(4,460,331)	**(9,250,735)**
საიჯარო ვალდებულებები	**592,290**	**2,851,623**	**8,655,091**	**12,099,004**

ინფორმაცია მოგება-ზარალში აღიარებულ თანხებზე მოცემულია მე-7 შენიშვნაში.

კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას და მოკლევადიან (იჯარები რომელთა პერიოდი 12 თვეზე ნაკლებია) და დაბალი ღირებულების მქონე იჯარებს არ აღიარებს როგორც საიჯარო ვალდებულებებს. ამგვარი იჯარების ხარჯი

14. საიჯარო ვალდებულებები (გაგრძელება)

აღიარდება წრფივი მეთოდით იჯარის ვადის განმავლობაში. იჯარები ცვლადი გადახდებით აღიარებას განაგრძობს როგორც იჯარის ხარჯი.

ხარჯები, რომლებიც არ არის კლასიფიცირებული იჯარად წარმოდგენილია შემდეგნიარად:

	2021	2020
მოკლევადიანი იჯარა	247,062	296,073
ცვლადი იჯარის ხარჯი	295,424	232,352
მთლიანი არადისკონტირებული იჯარები	**542,486**	**528,425**

15. საგადასახადო ვალდებულებები

2016 წლის 1 იანვარიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შედსაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე. შესაბამისად, საგადასახადო აქტივი და ვალდებულება წარმოდგენილია ნეტო თანხით.

16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სავაჭრო ვალდებულებები	4,128,883	7,443,334
სახელფასო ვალდებულება	1,631,953	1,031,967
როიალტის ვალდებულება	844,864	603,004
სხვა ვალდებულებები	953,068	939,254
სულ	**7,558,768**	**10,017,559**

17. შემოსავალი მომხარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

	2021	2020
შემოსავალი პროდუქციის რეალიზაციიდან	136,483,166	94,777,113

დეზაგრეგირებული ინფორმაცია რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების შესახებ:

	2021	2020
საკვები და სასმელი პროდუქციის რეალიზაცია	132,249,113	91,757,355
არასაკვები პროდუქციის რეალიზაცია	4,234,053	3,019,758
სულ	**136,483,166**	**94,777,113**

ინფორმაცია სახელშეკრულებო მოთხოვნა/ვალდებულებებზე:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სავაჭრო მოთხოვნები (შენიშვნა 10)	1,786,575	1,382,022
საკონტრაქტო ვალდებულება	268,645	-

საკონტრაქტო ვალდებულება სრულად უკავშირდება მომხმარებელთა წახალისების პროგრამას. წლის განმავლობაში ქულების დასაგროვებლად განხორციელდა 6,622,651 ლარის ტრანზაქცია. სულ წლის განმავლობაში გაიხარჯა 115,352 ლარის ბონუს ქულები.

18. სხვა შემოსავალი

	2021	2020
შემოსავალი რეკლამირებიდან და წახალისებიდან	776,157	428,154
შემოსავალი ჯარიმებიდან	482,143	-
მიღებული გრანტი	308,700	-
საიჯარო ვალდებულების შეღავათი	170,444	258,656
საიჯარო შემოსავალი	120,000	909,221
სადაზღვევო შემთხვევიდან მიღებული კომპენსაცია	13,372	384,103
სხვა	450,963	100,750
სულ	**2,321,779**	**2,080,884**

19. თანამშრომელთა სარგებელი

	2021	2020
ხელფასები და ბონუსები:		
რესტორანი	(14,970,169)	(11,903,554)
ადმინისტრაციული	(3,145,842)	(3,280,739)
თანამშრომელთა კვება	(934,985)	(557,074)
მარკეტინგი	(328,274)	(309,448)
საწყობი	(267,106)	(172,969)
სხვა	(299,686)	(239,277)
სულ	**(19,946,062)**	**(16,463,061)**

20. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2021	2020
მიწოდების ხარჯები	(4,585,536)	(3,451,413)
რეკლამა	(4,412,340)	(3,671,761)
კომუნალურები	(3,869,212)	(2,170,711)
საგადასახადო ხარჯი	(2,565,447)	(1,162,425)
ჰიგიენური საშუალებები	(2,188,594)	(1,768,084)
რემონტის და მოვლის ხარჯები	(1,033,096)	(777,877)
საბანკო ხარჯები	(949,588)	(575,149)
IT ხარჯები	(652,339)	(374,349)
ტექნიკური მომსახურების ხარჯი	(521,523)	(446,444)
დაზღვევა	(333,678)	(189,003)
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯი	(249,009)	(379,618)
იჯარის ხარჯი	(247,062)	(278,952)
საწვავი	(111,277)	(76,631)
მივლინება და წარმომადგენლობითი ხარჯები	(70,485)	(61,673)
სხვა	(2,087,542)	(2,091,103)
სულ	**(23,876,728)**	**(17,475,193)**

COVID-19-ის გამო, 2021 წლის იანვარში გარკვეული ცვლილებები შევიდა საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში და კომპანიას აღარ ევალებოდა საშემოსავლო გადასახადის გადახდა 2020 წლის ნაწილზე იმ პირებისთვის, რომლებიც დასაქმებულნი იყვნენ სარესტორნო სექტორში. აღნიშნული შეღავათი, რომელმაც შეადგინა 1,126,240 ლარი წარმოდგენილია, როგორც საგადასახადო ხარჯის შემცირება 2021 წელს.

21. ფინანსური ხარჯი

ფინანსური ხარჯი	2021	2020
ფინანსური ხარჯი ფინასური ინსტიტუბისგან მიღებულ სესხზე	(6,461,334)	(5,108,832)
ფინანსური ხარჯი საიჯარო ვალდებულებაზე	(1,156,917)	(1,158,088)
ფინანსური ხარჯი რეზიდენტი იურიუდიული პირებისგან მიღბულ სესხზე	(462,571)	(137,215)
ფინანსური ხარჯი არარეზიდენტი იურიუდიული პირებისგან მიღბულ სესხზე	-	(5,832)
სულ	**(8,080,822)**	**(6,409,967)**

22. საკურსო მოგება/(ზარალი), ნეტო

	2021	2020
მიღებული სესხების გრძელვადიანი ნაწილი	8,805,147	(16,675,305)
საიჯარო ვალდებულება	662,686	(1,601,111)
მიღებული სესხის მიმდინარე ნაწილი	65,582	(381,254)
სავაჭრო ვალდებულებები	44,443	(775,787)
სავაჭრო მოთხოვნები	(3,746)	(7,157)
ფული და ფულის ექვივალენტები	(223,419)	(73,113)
სულ	**9,350,693**	**(19,513,727)**

23. პირობითი ვალდებულებები

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს კომპანიის შემოწმება შეუძლიათ ბოლო სამი წლის განმავლობაში.

სასამართლო დავები

დროდადრო, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წამოყენებული. საკუთარი შეფასების საფუძველზე, აგრეთვე შიდა და გარე პროფესიული კონსულტაციების საფუძველზე, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული მიმდინარე სასამართლო დავების შედეგად.

გარანტორი დაკავშირებული მხარეების სესხებზე

კომპანია არის შპს ინთერნეშენალ ბეიკერ ჰაუსის სესხის გარანტორი, რომელიც არის საერთო კონტროლს ქვეშ იმავე მფლობელების მიერ. ხელშეკრულების თანხმად, სესხის მთლიანი თანხა შეადგენს 6,000,000 ევროს. ბანკს არ მოუთხოვია, რაიმე სახის გადახდის განხორციელება აღნიშნულ გარანტიასთან დაკავშირებით. ამასთან არ არსებობს რაიმე რაც მიანიშნებს, რომ გარანტია ამოქმედდება მეტი დეტალებისთვის იხილეთ მე-13 შენიშვნა.

ფრანჩიზა

2018 წლის 1 იანვრით გაფორმებული ფრანჩიზის ხელშეკრულების თანახმად, კომპანიის ვალის საკუთარ კაპიტალთან თანაფარდობის კოეფიციენტი არ უნდა აღემატებოდეს 3:2-ს.

ვალის საკუთარ კაპიტალთან თანაფარდობა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობთ აღემატებოდა 3:2-თან შეფარდებას. ამის ძირითადი გამომწვევი მიზეზი გახდა COVID-19-თან დაკავშირებული უარყოფითი ეკონომიკური გავლენები.

23. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა აღნიშნული კოეფიციენტი და შეადგენს 1.64-ს,(ფასს 1.54).

ვალის საკუთარ კაპიტალთან თანაფარდობის კოეფიციენტის კალკულაცია ფასს 16-ის ეფექტის გარეშე:

	ფასს 16-ის გარეშე
	31 დეკემბერი 2021
მიმდინარე ვალდებულებები	14,658,812
გრძელვადიანი სესხები	65,223,765
სხვა ვალდებულებები	-
სულ ვალდებულებები	**79,882,577**
ფულადი სახსრები	(4,910,228)
სულ ვალდებულებები, ნეტო	**74,972,349**
სულ კაპიტალი	**48,725,107**
ვალის საკუთარ კაპიტალთან თანაფარდობის კოეფიციენტი	**1.64**
ვალის საკუთარ კაპიტალთან თანაფარდობის კოეფიციენტი (ფულადი სახსრებით კორექტირებული)	**1.54**

ამ დარღვევის გამო მენეჯმენტი არ ელოდება ფრანჩიზის ხელშეკრულების შეწყვეტას.

მიღებული სესხები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას დარღვეული ქონდა ფინანსური კოვენანტი, ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებულ სესხზე, მეტი დეტალებისთვის იხილეთ მე-13 შენიშვნა.

24. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო, საპროცენტო და სხვა ფასის რისკი), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველყოფისათვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს შესაბამისი რისკები.

კომპანიის ძირითად ფინანსურ ვალდებულებებს წარმოადგენს მიღებული სესხები, საიჯარო ვალდებულებები და სავაჭრო კრედიტორული დავალიანება. ფინანსური ვალდებულებები აფინანსებს კომპანიის საოპერაციო და საინვესტიციო აქტივობებს. კომპანიის ძირითადი ფინანსური აქტივებია სავაჭრო მოთხოვნები და ფული პროდუქციის რეალიზაციიდან და მომსახურების გაწევიდან.

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. მენეჯმენტი ყოველთვიური რეპორტების მიმოხილვის საფუძველზე ადგენს დანერგილი პროცესების ეფექტურობასა და იმ მიზნებისა და პოლიტიკის ეფექტურობას შესაბამისობას რომელსაც დანერგილი პროცესები არეგულირებს.

საკრედიტო რისკი

კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი

24. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

წარმოიქმნება ფინანსური აქტივებიდან, რომელიც მოიცავს ფულს საბანკო ანგარიშებზე და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა, 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სავაჭრო მოთხოვნები	2,610,237	1,407,606
ფული და ფულის ეკვივალენტები	4,910,228	602,217
სულ ფინანსური აქტივები	**7,520,465**	**2,009,823**

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. კომპანიის საკრედიტო რისკი ძირითადად განპირობებულია კრედიტზე გაყიდვებით. კერძოდ კომპანიას აქვს კრედიტით რეალიზაციები, როდესაც იყენებს ქვეკონტრაქტორის მომსახურებას. საკრედიტო ლიმიტების დაშვების და მართვის პოლიტიკა, უზრუნველყოფს რისკების მართვას მისაღებ დონემდე.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც რეგულარულად ახორციელებს. ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

საბაზრო რისკებისადმი სენსიტიურობა ემყარება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას, ყველა დანარჩენი ფაქტორის უცვლელად დატოვებით. პრაქტიკაში ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს მოხდეს და გარკვეული ფაქტორების ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსების ცვლილებები.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოეშვება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

სავალუტო რისკის ზეგავლენა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ფინანსური აქტივები	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
სავაჭრო მოთხოვნები	2,610,237	-	-	2,610,237
ფული და ფულის ექვივალენტები	1,764,423	2,121	3,143,684	4,910,228
სულ ფინანსური აქტივები	**4,374,660**	**2,121**	**3,143,684**	**7,520,465**
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,029,131	20,063	32,757	5,081,951
მიღებული სესხები	25,159,877	572,571	54,150,129	79,882,577
საიჯარო ვალდებულებები	674,289	11,424,715	-	12,099,004
სულ ფინანსური ვალდებულებები	**30,863,297**	**12,017,349**	**54,182,886**	**97,063,532**

24. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკის ზეგავლენა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ფინანსური აქტივები	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
სავაჭრო მოთხოვნები	913,296	494,310	-	1,407,606
ფული და ფულის ექვივალენტები	599,248	2,085	884	602,217
სულ ფინანსური აქტივები	**1,512,544**	**496,395**	**884**	**2,009,823**
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7,832,554	249,304	300,730	8,382,588
მიღებული სესხები	6,616,370	1,059,681	87,842,639	95,518,690
საიჯარო ვალდებულებები	712,098	12,624,576	-	13,336,674
სულ ფინანსური ვალდებულებები	**15,161,022**	**13,933,561**	**88,143,369**	**117,237,952**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია მოგება-ზარალის სენსიტიურობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს: სავალუტო კურსების გონივრულად შესაძლებელი ცვლილებებისადმი კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტასთან მიმართებით, როდესაც დანარჩენი ცვლადები რჩება უცვლელი:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
აშშ დოლარის გამყარება 20%-ით	(2,403,046)	(2,687,433)
აშშ დოლარის გაუფასურება 20%-ით	2,403,046	2,687,433
ევროს გამყარება 20%-ით	(10,207,840)	(17,628,497)
ევროს გაუფასურება 20%-ით	10,207,840	17,628,497

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე.

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგანაც მას გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე მიღებული სესხები. 2021 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის მიერ აღებული ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი სესხები დენომინირებულია ლარში და ევროში.

მგრძნობელობის ანალიზი ტარდება სიმულაციური ტექნიკის გამოყენებით პროცენტის მატარებელ ძირითად ვალდებულებებზე.

ცვალებადი განაკვეთის ვალდებულებების შეთხვევაში, ანალიზი მომზადდა იმ დაშვებით, რომ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის დაუფარავი ვალდებულების თანხა მთელი წლის განმავლობაში დაუფარავი იყო. 100 საბაზისო ერთეულის გაზრდა ან შემცირება ხდება საპროცენტო განაკვეთის რისკის შიდა ანგარიშგებისას და წარმოადგენს ხელმძღვანელობის მიერ საპროცენტო განაკვეთების შესაძლო ცვლილების შეფასებას, გონივრულობის ფარგლებში.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ზრდა	შემცირება
სესხები ევროში	541,501	(541,501)
სესხები დოლარში	5,726	(5,726)
სესხები ლარში	251,599	(251,599)

მგრძნობელობის ანალიზის შეზღუდვა. ზემოთ მოცემული ცხრილი ასახავს 1 ცვლადის ცვლილებას იმ დაშვებით, რომ სხვა ცვლადები დარჩება უცვლელი. რეალურად, ცვლადები ერთმანეთთან კორელაციურ კავშირშია და ერთი ცვლადის ცვლილება გავლენას ახდენს სხვა დანარჩენზე. ცვლადებს შორის უერთიერთობა არ არის წრფივი და მცირე ან დიდი ცვლილება შეიძლება არ იყოს გამოსადეგი შედეგების ექსტრაპოლაციისთვის.

24. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა საბრუნავი კაპიტალის ეფექტურ მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ კომპანია შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში.

ფულადი ნაკადების მართვის მიზანია, რომ მუდმივად იქონიონ საოპერაციო ხარჯებისა და ფინანსური ვალდებულებების მომსახურებისთვის საჭირო ფულადი სახსრები.

ქვემოთ, ცხრილში მოყვანილია ვალდებულებები, რომლებიც დაჯგუფებულია მათი დარჩენილი სახელშეკრულებო ვადების მიხედვით. გადახდა უცხოურ ვალუტაში გამოითვლება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის არსებული სავალუტო სპოტ-კურსის მიხედვით.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ნაჩვენებია კომპანიის ფინანსური ვალდებულებების მთლიანი თანხა საბალანსო ღირებულებებით, დაჯგუფებული დაფარვის ვადების მიხედვით:

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ფინანსური ვალდებულებები	1 წლამდე	1 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7,558,768	-	-	7,558,768
საკონტრაქტო ვალდებულება	268,645	-	-	268,645
მიღებული სესხები	14,658,812	29,556,283	35,667,482	79,882,577
საიჯარო ვალდებულებები	592,291	2,851,623	8,655,090	12,099,004
სულ ვალდებულებები	**23,078,516**	**32,407,906**	**44,322,572**	**99,808,994**

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ფინანსური ვალდებულებები	1 წლამდე	1 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10,017,559	-	-	10,017,559
მიღებული სესხები	12,323,995	4,044,823	79,149,872	95,518,690
საიჯარო ვალდებულებები	742,698	2,702,930	9,891,046	13,336,674
სულ ვალდებულებები	**23,084,252**	**6,747,753**	**89,040,918**	**118,872,923**

მიმდინარე ფინანსურ ვალდებულებებიდან სავაჭრო ვალდებულებები დაკავშირებულია ძირითადი მომწოდებლის წინაშე ვალდებულებასთან.

საიჯარო ვალდებულება დაკავშირებულია ფასს 16-ის შესაბამისად დარიცხულ ვალდებულებასთან და წარმოადგენს საიჯარო ხელშეკრულებების შესაბამისად მომავალ პერიოდებში გადასახდელ თანხებს.

რეალური ღირებულება

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება, რომლებიც წარდგენილია რეალური ღირებულებით შეფასებულია რეალური ღირებულების იერარქიის მესამე დონეზე.

კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მფლობელებისთვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს აქციონერებისათვის სარგებელი მისაღები რისკის დონის შეფასებით და შენარჩუნებით.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

25. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები, როგორც წესი, განიხილება, რომ ურთერთდაკავშირებულნი არიან, თუ იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ ან თუ ერთ მხარეს აქვს სხვა მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მეორე მხარეზე ან განახორციელოს ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებაში. 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას არ ჰქონია დაკავშირებულ მხარეებთან არსებული გადაუხდელი ნაშთები და ოპერაციები.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	კავშირის სახე	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
მარაგების შესყიდვა	საერთო კონტროლს დაქვემდებარე-ბულები	-	274,828
მოთხოვნები	საერთო კონტროლს დაქვემდებარე-ბულები	367,405	67,391

	2021	2020
უმაღლესი მმართველობითი რგოლის ხელფასი	1,512,849	1,293,852

26. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ კომპანიამ დაიწყო ერთი ახალი რესტორნის მშენებლობა, რომელიც ანგარიშგების გამოცემის პერიოდში ჯერ არ არის დასრულებული და ასევე კომპანია მუშაობს მეორე ახალი რესტორნის მშენებლობის დაწყების პროცესზე.

ECOVIS®
ATA FINANCE

ტელ:+995 032 243 22 81
ელ.ფოსტა:tbilisi@ecovis.ge
მის: აფაქიძის ქუჩა #11,
ტიფლის ბიზნეს ცენტრი,
თბილისი,საქართველო 0171

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება მმართველობით ანგარიშგებაზე

შპს „თ და კ რესტორნები“-ს მენეჯმენტსა და დამფუძნებლებს

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი მოსაზრებით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მმართველობის ანგარიშგება ასევე შესაბამისობაშია შპს „თ და კ რესტორნები“-ს 2021 წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან, რომელიც დამტკიცებულია 2022 წლის 27 მაისს.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

11 ივლისი, 2022

თბილისი, საქართველო

ECOVIS®
ATA FINANCE

ტელ:+995 032 243 22 81
ელ.ფოსტა:tbilisi@ecovis.ge
მის: აფაქიძის ქუჩა #11,
ტიფლის ბიზნეს ცენტრი,
თბილისი,საქართველო 0171

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება მმართველობით ანგარიშგებაზე

შპს „თ და კ რესტორნები"-ს მენეჯმენტსა და დამფუძნებლებს

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი მოსაზრებით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მმართველობის ანგარიშგება ასევე შესაბამისობაშია შპს „თ და კ რესტორნები"-ს 2021 წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან, რომელიც დამტკიცებულია 2022 წლის 27 მაისს.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები"-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ECOVIS ATA FINANCE

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

11 ივნისი, 2022

თბილისი, საქართველო

მმართველობითი ანგარიშგება საქმიანობის მიმოხილვა

შპს „თ და კ რესტორნები“

მაკდონალდს საქართველო

თბილისი

2022

სარჩევი

1. ინფორმაცია კომპანიის საქმიანობის შესახებ 6

1.1 ჩვენი გუნდი 8

1.2 მაკროეკონომიკური გარემოს მნიშვნელოვანი ნიშანთვისებები 9

2. კომპანიის განვითარების გეგმები 10

3. კვლევებსა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები 11

4. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ 11

5. საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არა ფინანსური მაჩვენებლები: 12

5.1 ფინანსური მაჩვენებლები 12

5.2 არაფინანსური მაჩვენებლები 16

6. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები 18

მაკდონალდს საქართველო

მსოფლიოში „მაკდონალდსი“ ყოველდღიურად მილიონობით ადამიანს ემსახურება. 1999 წლიდან კი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გეგმაზომიერად ფართოვდება. თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, ზუგდიდსა და რუსთავში, მთლიანობაში 18 ობიექტს მოიცავს. საქართველოში 23 წლიანი ოპერირების პრინციპს ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა და სერვისის მუდმივი გაუმჯობესება წარმოადგენს. „მაკდონალდსის” სტრატეგიული პრიორიტეტი კი ახალი სერვისებით მომსახურების გაუმჯობესება და მომხმარებლისთვის მეტი კომფორტის შეთავაზებაა.

"მაკდონალდს საქართველო" უკვე 23 წელია საქართველოში მომსახურების სფეროსა და ბიზნეს სექტორში ახალ სტანდარტებს აწესებს.

ჯანსაღი სამუშაო გარემოსა და ადამიანებზე ორიენტირებული მიდგომების წყალობით კი იგი მუდმივად იღებს პრესტიჟულ გლობალურ ჯილდოებსა და აღიარებას. ასეთია ფრედ ლ. ტერნერის სახელობის Golden Arch (“ოქროს თაღის”) ჯილდო,

პრესტიჟული ჯილდო "მაკდონალდს საქართველოს", როგორც მსოფლიო მასშტაბით სამაგალითო ფრენჩაიზს, ქსელის ეფექტური ოპერირებისთვის, ზრდაზე ორიენტირებული, ლიდერული მიდგომების და საოპერაციო სრულყოფილებისა და გამორჩეული მომსახურებისადმი სწრაფვისთვის გადაეცა. აღსანიშნავია, რომ „ოქროს თაღის“ ჯილდო ევროპის დივიზიონში მხოლოდ "მაკდონალდს საქართველოს" ხვდა წილად.

2021 წელს კომპანიის მიერ დანერგილი ჯანსაღი, ადამიანებზე ორიენტირებული სამუშაო გარემოს შედეგია კიდევ ერთი გლობალური აღიარება, რომელიც "მაკდონალდს საქართველომ" მოიპოვა. ეს რეი კროკის სახელობის პრესტიჟული ჯილდოა. იგი მაკდონალდსის რესტორნების იმ მენეჯერების წვლილის აღიარებაა, რომლებიც რესტორნის საუკეთესო ფუნქციონირებას, იქ მომუშავე გუნდის ეფექტურ და მომხმარებლის კმაყოფილებაზე ორიენტირებულ მუშაობას უზრუნველყოფენ, ასევე ზრუნავენ დასაქმებული ადამიანებისთვის საუკეთესო სამუშაო გარემოს შექმნაზე.

აღსანიშნავია მაკდონალდს საქართველოს თანამშრომლობა საერთაშორისო ლოგისტიკურ კომპანია HAVI-სთან.

HAVI მაკდონალდსის კორპორაციას 45 წელია ლოგისტიკურ სერვისს უწევს და იგი მიჩნეულია, როგორც საუკეთესო პარტნიორი და მაღალი რეპუტაციის მქონე, სანდო და საიმედო საერთაშორისო ლოგისტიკური პროვაიდერად.

HAVI ლოგისტიკი წარმოადგენს საერთაშორისო კომპანიას, რომელიც უზურნველყოფს წამყვანი ბრენდებისათვის ლოგისტიკურ მომსახურებას 100-ზე მეტ ქვეყანაში. იგი დაფუძნებულია 1974 წელს და აერთიანებს 10,000-მდე დასაქმებულ ადამიანს.

2021 წელს HAVI-მ და მაკდონალდს საქართველომ, თბილისში, ლილოში მდებარე ლოგისტიკურ საწყობზე მზის ელექტროპანელების სისტემა დაამონტაჟეს.

ფოტოელექტრული სისტემის დახმარებით “HAVI” და ''მაკდონალდს საქართველო'' - ერთობლივად, თავიანთი გარემოსდაცვითი მისიის შესასრულებლად გეგმავენ— 2030 წლისთვის 40 პროცენტით შეამცირონ ატმოსფეროში ნახშირბადის ემისია.

საქართველოში “მაკდონალდსთან” ასოცირდება მრავალმილიონიანი ინვესტიციები, ათიათასობით კმაყოფილი მომხმარებელი, ათასზე მეტი სამუშაო ადგილი და გამორჩეული დიზაინისა და კონცეფციის 18 რესტორანი 5 ქალაქში. პროგრესი, ხარისხი და მომსახურების მაღალი სტანდარტები კი მისი შეუცვლელი ნიშანია.

ამჟამად მაკდონალდსში დასაქმებულია 1400-ზე მეტი თანამშრომელი. 2022 წელს კი იგეგმება 2 ახალი რესტორნის გახსნა, სადაც ჯამში 100-მდე ადამიანი დასაქმდება.

2022 წელს ორი ახალი ობიექტის გახსნა, იგეგმება: ისანსა და კახეთის გზატკეცილზე. ჯამური ინვესტიციის მოცულობა 15 მილიონი ლარია.

მიუხედვად იმისა, რომ 2021 წელს პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვები ჯერ კიდევ აქტუალური იყო, მაკდონალდს საქართველომ აქტიურად განაგრძო საქმიანობა და განვითარება, სწორი გადაწყვეტილებების შედეგად 2021 წელს ფინანსური შედეგების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება აჩვენა.

გენერალური დირექტორი

თენგიზ კაპანაძე.

1. ინფორმაცია კომპანიის საქმიანობის შესახებ

შპს „თ და კ რესტორნები“ დაარსდა 1997 წლის 16 დეკემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია საქმიანობს მაკდონალდსის კორპორაციის ფრანჩაიზის ხელშეკრულების ფარგლებში, რომელიც ამ უფლების გამოყენებას 20 წლის ვადით განსაზღვრავს და 2018 წელს აღნიშნული ხელშეკრულება განახლდა 20 წლით.

2021 წლისთვის 12 რესტორანი და ლოგისტიკური ცენტრი მდებარეობს თბილისში, ხოლო 6 რესტორანი განლაგებულია საქართველოს რეგიონებში, კერძოდ: ქუთაისში - 2 რესტორანი, ბათუმში - 2 რესტორანი, ზუგდიდში - 1 რესტორანი და რუსთავში - 1 რესტორანი (იხ. ცხრილი N1).

ცხრილი N1

ფილიალების ლოკაცია
ქ. თბილისი, ძმ. კაკაბაძეების N1
ქ. თბილისი, მარჯანიშვილი N20
ქ. თბილისი, სპორტის სასახლის მიმდ. ტერიტორია
ქ. თბილისი, წერეთელის გამზირისა და ბაგრატიონის ქუჩის გადაკვეთა
ქ. თბილისი ჯ. ბალანჩინის
ქ. თბილისი, თვალვაჭრელიძის 2
ქ. თბილისი, ხიზაბავრის N1
ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. 2/4
ქ. თბილისი, არაყიშვილის N3
ქ. თბილისი, ქავთარაძის N1

ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი
ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი
ქ. რუსთავი მეგობრობის გამზ. მიმდებარე ტერიტორია
ქ. ქუთაისი ჭავჭავაძის 57ა
ქ. ქუთაისი დ. აღმაშენებლის N1
ქ. ზუგდიდი, გამსახურდიას N45
ქ. ბათუმი, ხიმშიაშვილის ქუჩა
ქ. ბათუმი გამსახურდიას 8/10
ქ.თბილისი,ლილო ლოჭინის ხევი ნაკვეთი (ლოგისტიკური ცენტრი)

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისის, ძმები კაკაბაძეების ქუჩა N1.

მაკდონალდს საქართველოს საქმიანობის სფეროს წარმოადგენს სწრაფი კვების ობიექტების ქსელით მომსახურება. სამოქმედო ბაზარი მოიცავს, ქვეყნის მასშტაბით არსებულ ლოკაციებზე მომხმარებლების მოზიდვას, მათთვის ხარისხიანი პროდუქციისა და სერვისის შეთავაზებით. ასევე შპს „თ და კ რესტორნების“ საოპერაციო საქმიანობა მოიცავს სალათის საამქროსა და ლოგისტიკურ ცენტრს.

2020 წლიდან ლოგისტიკური ცენტრის ადმინისტრირება ხდება საერთაშორისო კომპანია ჰავი ლოჯისტიკის მიერ, რომელიც უზრუნველყოფს რესტორნებისათვის საჭირო მარაგის შესყიდვას დასაწყობებასა და დისტრიბუციას თითოეულ ლოკაციაზე.

ჰავი ლოჯისტიკა არამხოლოდ საქართველოში არამედ სრულიად მსოფლიოს მასშტაბით პარტნიორობს მაკდონალდსის კორპორაციასთან.

ბაზარზე დიდი მოთხოვნიდან გამომდინარე, 2018 წლიდან მაკდონალდს საქართველომ საკვების ადგილზე მიტანის სერვისი დანერგა, 2020 წელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო დელივერის არხის გაყიდვების კუთხით. ზრდის ტრენდი 2021-შიც შენარჩუნდა,

დელივერის წილი განსაკუთრებით მაღალი იყო პირველ კვარტალში, პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვებიდან გამომდინარე.

1.1 ჩვენი გუნდი

კომპანიის შიდა სტრუქტურა ოპტიმიზირებულია და მაქსიმალურად არის მორგებული კომპანიის შიდა პროცესებზე.

მაკდონალდს საქართველოს შიდა მმართველობითი სტრუქტურა შედგება შემდეგი დეპარტამენტებისაგან:

· *საოპერაციო;*
· *ლოგისტიკური;*
· *დეველოპერული;*
· *ხარისხის;*
· *კადრების;*
· *იურიდიული;*
· *მარკეტინგული;*
· *ინფორმაციული ტექნოლოგიების;*
· *ფინანსური;*

დეპარტამენტები ექვემდებარებიან, კომპანიის გენერალურ დირექტორსა და კომპანიის პრეზიდენტს.

1.2 მაკროეკონომიკური გარემოს მნიშვნელოვანი ნიშანთვისებები

მსოფლიო პანდემიიდან გამომდინარე, 2020 წლის მსგავდა 2021 წელიც გამოწვევებით სავსე აღმოჩნდა.

2021 წლის პირველ კვარტალში აქტიური იყო ყველა შეზღუდვა კოვიდ პანდემიასთან დაკავშირებული, მეორე კვარტლიდან შეზღუდვები შემსუბუქდა, თუმცა აგვისტოს მეორე ნახევარი და სრული სექტემბრის თვე შეზღუდული იყო საზოგადოებრივი ტრანსპორტი, სამუშაო საათები და მაღალი იყო კოვიდ ინფიცირებულების რაოდენობა, რაც პირდაპირ გავლენას ახდენს კომპანიის საოპერაციო საქმიანობაზე.

წლის განმავლობაში რამდენჯერმე დაიხურა შიდა თუ გარე სივრცეები, შეიზღუდა ტრანსპორტი, რაც ართულებდა თანამშრომლების ტრანსპორტირების პროცესს, კომენდანტის საათი და დამატებითი კოვიდ ინვენტარი, რომელმაც მნიშვნელოვნად გაზარდა საოპერაციო ხარჯები.

მაკდონალდს საქართველოს ძირითადი პარტნიორები ევროკავშირის ქვეყნების წარმომადგენლები არიან, სადაც სამუშაო ვალუტა არის ევრო. კოვიდ პანდემიიდან გამომდინარე ევროკავშირის ქვეყნებში გაიზარდა პროდუქციის ფასები უშუალოდ ვალუტაში. რამაც გამოიწვია ნედლეულის შესასყიდი ფასების ზრდა, ასევე გაიზარდა ფასები ტრანსპორტირებაზე, რაც პირდაპირ გავლენას ახდენს კომპანიის მომგებიანობაზე,

კოვიდ შეზღუდვებმა გამოიწვია ქვეყანაში ტურიზმის ინდუსტრიის ჩამოშლა, რამაც თავისმხრივ გავლენა მოახდინა სავალუტო შემოდინებაზე და ვალუტის კურსის მკვეთრ გაუარესებაზე, რაც თავის მხრივ პირდაპირ გავლენას ახდენს კომპანიის თვითღირებულებაზე, რადგან 80%-ზე მეტი ნედლეული იმპორტირებულია ევროპიდან.

გარდა ნედლეულისა მაკდონალდს საქართველო ძირითადი საშუალებებისა და სხვადასხვა კაპიტალური სერვისების შესყიდვას არარეზიდენტი პარტნიორებისგან ახორციელებს, რაზეც ასევე გაიზარდა ფასები შესაბამის ვალუტაში.

მნიშვნელოვანი გარე ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს კომპანიაზე, პირველ რიგში არის ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა, კერძოდ: ქვეყნის მასშტაბით ინფრასტრუქტურის

განვითარება, ტურიზმის ზრდაზე ორიენტირებული სახელმწიფო პოლიტიკა და მაკროეკონომიკური სტაბილურობა. თითოეული გარე ფაქტორი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კომპანიის სტაბილურობაზე და შემოსავლების რეალურ ზრდაზე, რომელიც ვალუტის კურსის სტაბილურობით, ინფლაციის მიზნობრივ დონესთან ახლო დიაპაზონის შენარჩუნებით, ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდით და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებით არის შესაძლებელი. ასევე, მნიშვნელოვანია მოხდეს ადგილობრივი საბანკო სექტორის განვითარება და მხარდაჭერა, რათა შესაძლებელი გახდეს ადგილობრივ ვალუტაში სახსრების მოზიდვა უფრო ეფექტური პირობებით.

2. კომპანიის განვითარების გეგმები

2018 წელს „მაკდონალდს საქართველოს“ სამომავლო განვითარებისთვის თიბისი ბანკის ჩართულობით, EBRD-დან 20 მილიონი ევრო გამოეყო. კომპანიის სტრატეგიული განვითარების გეგმა, ორიენტირებულია მაქსიმალურად მოხდეს თბილისისა და საქართველოს საბაზრო არეალის დაფარვა, რათა მომხმარებლებისთვის უფრო ხელმისაწვდომი გახდეს კომპანიის მომსახურების მიღება. პარალელურად მიმდინარეობს არსებული რესტორნების ტექნოლოგიური განვითარება და განახლება, მაკდონალდსის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. კერძოდ, არსებული რესტორნებში ხდება სხვადასხვა ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვა, რაც მომხმარებლის სტუმრობას უფრო კომფორტულსა და სასიამოვნოს გახდის. სერვისის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით კომპანიაში მნიშვნელოვანი ინვესტიციები განხორციელდა და კიდევ იგეგმება მომავალშიც, კერძოდ, დაინერგა და ინერგება: თვითმომსახურების კიოსკები, მაგიდასთან მომსახურების სერვისი, მობილური აპლიკაცია და ადგილზე მიტანის სერვისი. მიუხედავად პანდემიისა, ყველა მიმართულებამ სრულად მოიცვა მაკდონალდს საქართველოს ქსელი 2020 წლის ბოლოსთვის და 2021 წელს წარმატებით განაგრძობს ოპერირებას.

კომპანია შიდა კონტროლისთვის და აგრეთვე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის დაცვის მიზნით 2015 წლიდან იყენებს ERP პროგრამას,

კერძოდ Microsoft Navision Dynamic-ს, რომელიც უზრუნველყოფს კომპანიაში მიმდინარე ყველა პროცესის ავტომატიზაციას და ეფექტურ კონტროლს.

კომპანიის განვითარების გეგმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ტექნოლოგიური განვითარება, რომელიც გულისხმობს, როგორც სერვისის მხრივ ინოვაციების დანერგვას, ასევე შიდა კონტროლის მექანიზმებისა და დაგეგმარების პროცესის ავტომატიზაციას.

მაკდონალდს საქართველო აქტიურად მუშაობს GMA „ჩემი მაკდონალდსის“ აპლიკაციის განვითარებაზე, 2021 წლის მეოთხე კვარტლიდან GMA აპლიკაციაში დაემატა ლოიალურობის პროგრამა, რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს თითოეულ შენაძენზე დააგროვოს ბონუს ქულა, რომელითაც მოგვიანებით შეუძლია სხვადასხვა შეთავაზება გაანაღდოს.

3. კვლევებსა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები

კომპანიაში ადგილი არ ჰქონია კვლევით სამუშაოებს.

4. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

კომპანიაში ადგილი არ ჰქონია საკუთარი აქციების შეძენას.

5. საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არა ფინანსური მაჩვენებლები:

5.1 ფინანსური მაჩვენებლები

2021 წელს „მაკდონალდს საქართველოს“ შემოსავალმა 136,483,166 ლარი შეადგინა, ხოლო მომხმარებელთა რაოდენობამ 7,539,494.

მიუხედავად 2021 წელს კოვიდ პანდემიის ფარგლებში არსებული შეზღუდვებისა, კომპანიის სტუმრების რაოდენობა 16%-ით, ხოლო შემოსავალი 44%-ით გაიზარდა.

აღნიშნული პროგრესი ძირითადად გამოწვეულია ტრანზაქციების ზრდით, რის უკანაც თავისმხრივ დგას კომპანიის საოპერაციო გუნდი, მარკეტინგი და მენეჯმენტის ეფექტური მუშაობა.

„მაკდონალდს საქართველოსთვის“ 2020 წელი მნიშვნელოვანი გამოცდილება იყო, შესაბამისად 2021 წლის რეგულაციებზე კომპანია მყისიერად ახდენდა რეაგირებას და სწორი სამოქმედო გეგმით ოპერირებდა.



კომპანიის ფინანსური ანგარიშგებაში წარმოდგენილ მიწისა და შენობის აქტივისათვის მოითხოვება რეალური ღირებულებით შეფასება და განმარტება. რეალური ღირებულებით შეფასებისათვის კომპანია იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს.

კოპანია 2017 წლიდან იყენებს გადაფასების მოდელს, თუმცა „მაკდონალდს საქართველოს“ 2021 წელზე კონსულტაციის შედეგად უძრავი ქონების გადაფასება არ გაუკეთებია.

ლიკვიდობის ანალიზი 2021 და 2020 წლების მიხედვით:

ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,535,739	2,314,461
ფული და ფულის ეკვივალენტები	4,910,228	602,217
	8,445,967	***2,916,678***
ფინანსური ვალდებულებები		
მიღებული სესხები	79,882,577	95,518,690
საიჯარო ვალდებულებები	12,099,004	13,336,674
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7,558,768	10,017,559
	99,540,349	***118,872,923***
	(91,094,382)	(115,956,245)

2021 წელს ფინანსური ვალდებულებების ნაწილში „მაკდონალდს საქართველოს“ მნიშვნელოვანი გაუმჯობესება ჰქონდა, ასევე მკვეთრად გაიზარდა ფინანსური აქტივების მოცულობა.

ფულადი ნაკადების უწყისი

2021 წელს წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან 2020 წელთან შედარებით 3-ჯერ არის გაზრდილი

იხ. დეტალურად

	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
წლის სრული მოგება	**17,611,327**	**(27,714,167)**
არაფულადი კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	9,111,319	7,968,121
ფინანსური ხარჯი	8,080,822	6,409,967
მოგების გადასახადის ხარჯი	-	201,238
მოგება საიჯარო შეღავათებიდან	(170,444)	(258,656)
ძირითადი საშუალების გადაფასებიდან მიღებული კომპენსაცია/(ზარალი)	-	511,503
საკურსო (მოგება)/ზარალი	(9,350,693)	19,513,727
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები სამუშაო კაპიტალში მომხდარ ცვლილებებამდე	**25,282,331**	**6,631,733**
სამუშაო კაპიტალის კორექტირება:		
შემცირება/(ზრდა) საოპერაციო აქტივებში:		
ცვლილებები საქონელში	(303,981)	3,492,014
ცვლილებები დებიტორულ დავალიანებებში	(1,225,023)	1,316,583
ცვლილებები საკონტრაქტო ვალდებულებებში	268,645	-
ცვლილებები საგადასახადო აქტივებში	-	2,125,370
(შემცირება)/ზრდა საოპერაციო ვალდებულებებში:		
ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებებში	(2,414,348)	(4,756,174)
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში	368,197	-
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	**21,975,821**	**8,809,526**
გადახდილი მოგების გადასახადი	-	(201,240)
გადახდილი პროცენტი	(6,877,394)	(4,095,382)

საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული წმინდა ფულადი სახსრები	**15,098,427**	**4,512,904**

ასევე როგორც ავღნიშნეთ 2020 წელს მნიშვნელოვანი კაპიტალური ინვესტიციები განახორციელა კომპანიამ, 2021 წელს კომპანია ძირითადად ორიენტირებული იყო არსებული რესტორნებში ინვესტიციით და საინვესტიციო საქმინობებში ფულადმა ნაკადმა 2,077,437 ლარი შეადგინა.

ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	(2,077,437)	(19,239,190)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა	-	(351,100)
საინვესტიციო აქტივობებში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	**(2,077,437)**	**(19,590,290)**

ასევე 2021 წელს კომპანიამ სავალუტო რისკების მინიმიზაციის მიზნით, ეტაპობრივად სასესხო პორტფელში ლარის წილი გაზარდა. შედეგად 2021 წლის ბოლოს სესხის პორტფელის წილობრივი განაწილება 30/70-ზეა, ლარი/უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში.

	ვალუტა	*31/12/2021*	*წილი*
მიღებული სესხი ფინანსური ინსტიტუტიდან	*EUR*	52,482,779	66%
მიღებული სესხი ფინანსური ინსტიტუტიდან	*GEL*	25,159,877	31%
მიღებული სესხი რეზიდენტი იურიდიული პირისგან	*EUR*	1,667,350	2%
მიღებული სესხი რეზიდენტი იურიდიული პირისგან	*USD*	572,571	1%
		79,882,577	**100%**

2021 წელს კომპანიას მნიშვნელოვანი გაუმჯობესება ჰქონდა EBITDA-ს მაჩვენებელზე, კერძოდ 2020 წელთან მიმართებაში, კომპანიის EBITDA 6-ჯერ გაიზარდა 22,597,966 მილიონი ლარი შეადგინა.

5.2 არაფინანსური მაჩვენებლები

მაკდონალდსი ოპერირებს მომსახურების სფეროში, შესაბამისად, მომხმარებლისა და თანამშრომლების კმაყოფილება, მათი სურვილებისა და უკუკავშირის გათვალისწინება მნიშვნელოვანია.

2021 წელი განსაკუთრებით გამოირჩეოდ, რადგან მაკდონალდსის რესტორნების ქსელმა, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ბურგერების მომზადების პროცესში ცვლილებები შეიტანა და "Best Burger" დანერგა.
მიუხედავად იმისა, რომ კომპანია ამაყობს თავისი გემოვნური თვისებებით, მუდმივად არის ორიენტირებული განვითარებასა და გაუმჯობესებაზე, ითვალისწინებს მომხმარებლების უკუკავშირს და სურვილებს.
შედეგად, მომხმარებლამდე საუკეთესო გამოცდილების მიტანის სურვილით, „მაკდონალდსმა" ბევრი პატარა დეტალი შეცვალა, რამაც შესამჩნევი განსხვავება და გაუმჯობესებული გემო შესთავაზა მომხმარებელს. ("Best Burger")

ყველასათვის საყვარელი ბურგერები ახლა უფრო გემრიელია, ვიდრე ოდესმე; ეს არის განახლებული კლასიკა, ამ მიმართულებით განხორციელებული პირველი ცვლილება კორპორაციის არსებობის განმავლობაში.

ცვლილებები შეეხო როგორც ბურგერის ინგრედიენტებს, ასევე მისი მომზადების მეთოდს, რისთვისაც კომპანიამ რესტორნის თანამშრომლები სრულად გადაამზადა.

„მაკდონალდსის" ბურგერები, როგორც ყოველთვის, ახლაც 100%-ით საქონლის ხორცისგან მზადდება, კონსერვანტების, ხელოვნური შემავსებლებისა და ფერების გარეშე.

მთავარი ცვლილება ხორცის მომზადების წესშია: ხორცი იწვება ახალი, გაუმჯობესებული ტექნოლოგიით, რომლის საშუალებითაც მას უფრო დიდხანს უნარჩუნდება ტემპერატურა, შესაბამისად, უფრო ცხელი მიდის მომხმარებლამდე. შეიცვალა ისიც, რომ ხახვი და სანელებლები ხორცს შეწვის დროს, პირდაპირ გრილზე ეყრება, რაც მის მდიდარ გემოს

კიდევ უფრო ამძაფრებს, ხორცი ხდება უფრო წვნიანი და უფრო არომატული. ყველი ახლა უფრო მეტად ადნება ხორცს - ზუსტად შეირჩა ტემპერატურა მისი იდეალურად დნობისთვის.

განახლდა ბურგერის ფუნთუშებიც, რომლებიც ისევე მადისაღმძვრელად გამოიყურება, როგორი გემრიელიცაა: უფრო რბილია, ოქროსფერი, ახლად დაბრაწული და მეტად არომატული.- აღსანიშნავია, რომ ახალი ბურგერები „მაკდონალდს საქართველოს“ მიერ აშენებულ პურის ქარხანაში „Bradfield”-ში იწარმოება და მიეწოდება რესტორნების ქსელს, „Bradfield”- ის ქარხანა მაკდონალდსის ინიცირებით და 26 მილიონიანი ინვესტიციით აშენდა, აღსანიშნავია, რომ მშენებლობა პანდემიის პერიოდშიც არ შეჩერებულა.
2022 წლიდან, ქარხანა მაკდონალდს საქართველოს გარდა, მაკდონალდს აზერბაიჯანს ემსახურება და აგრეთვე საცალო გაყიდვების პროდუქციასაც აწარმოებს. მომხმარებლებს უკვე შეუძლიათ მაკდონალდსის ფუნთუშა, საცალო ვაჭრობის სუპერმარკეტებში შეიძინონ.

ყველაზე სასიამოვნო ცვლილება კი ბიგ-მაკის მოყვარულთათვის განხორციელდა ალბათ, კიდევ უფრო მეტი ბიგ-მაკის სოუსი ბურგერში. „მაკდონალდსმა“ გაითვალისწინა მისი მომხმარებლის სურვილი და ლეგენდარულ ბურგერში ლეგენდარული სოუსის რაოდენობა გაზარდა, რაც გემოს უფრო ინტენსიურს და სასიამოვნოს ხდის.

ტექნოლოგიების დახვეწით, სიახლეების დანერგვით, მომხმარებლების სურვილების გათვალისწინებით და მათზე მუდმივი ზრუნვით, მაკდონალდსი კვლავ მიყვება თავის მისიას - ქმნის სასიამოვნო, გემრიელ მომენტებს. უფრო გემრიელს, ვიდრე ოდესმე.

მოცემული ინოვაციის დანერგვა დიდი გამოწვევა იყო კომპანიისთვის და ამავდროულად დიდი პასუხისმგებლობაც,

დღეს მაკდონალდს საქართველოში არსებული რესტორნები სრულად გადავიდნენ Best Burger-ის მოხმარებაზე.

6. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

მაკდონალდს საქართველოსთვის ძირითად რისკფაქტორს წარმოადგენს არასტაბილური ეკონომიკური გარემო, პირველ რიგში გაცვლითი კურსის ცვალებადობა, რაც თავისმხრივ ზეგავლენას ახდენს,

- იმპორტირებული ნედლეულის ღირებულებაზე
- ნედლეულის ტრანსპორტირებაზე, რომელსაც საერთაშორისო გადამზიდი კომპანიები ანხორციელებენ
- კაპიტალურ დანახარჯებზე - მანქანა-დანადგარები, ავეჯი და სხვა ძირითადი საშუალებები, რომელთა შესყიდვაც უხცოურ ვალუტაში ხდება

ნედლეულის მომწოდებლებთან ანაგრიშწორება, უცხოურ ვალუტაშია. შესაბამისად პროდუქციის თვითღირებულება უშუალოდ დაკავშირებულია გაცვლით კურსთან. ასევე კაპიტალური დანახარჯების კუთხით, მანქანა დანადგარების, ავეჯისა და სხვადასხვა ძირითადი საშუალებების შესყიდვა ხდება ვალუტაში, შესაბამისად ცვალებადი გაცვლითი კურისის პირობებში ბიუჯეტთან მიმართებაში აცდენას აქვს ადგილი და წარმოიქმნება გაუთვალისწინებელი გარემოებები.

გარდა იმპორტირებული ნედლეულისა და ძირითად საშუალებებისა, კურსის დევალვაციის პარარელურად იზრდება ადგილობრივი კომპანიების მიერ მოწოდებული საქონლისა თუ მომსახურების ღირებულებაც, შესაბამისად იზრდება ობიექტების პერიოდის ხარჯები, რაც საბოლოო ჯამში საფრთხეს უქმნის განვითარების გეგმის განხორციელებას, აფერხებს პროცესს, ნეგატიური მოლოდინის გამო.

ამავდროულად კრიტიკულია პროდუქციის თვითღირებულების საკითხი, გაცვლითი კურსი პირდაპირ ზეგავლენას ახდენს ნედლეულის ფასზე, ხოლო მაღალი თვითღირებულების პირობებში, კომპანია იძულებულია, გაამკაცროს საფასო პოლიტიკა, რაც თავის მხრივ რისკების შემცველია.

ამავდროულად კომპანია გრძელვადიანი ფინანსირებისთვის იყენებს საბანკო რესურსს, რომელიც სესხს უცხოურ ვალუტაში გასცემს. მიუხედავად ხელსაყრელი საპროცენტო განაკვეთისა, სავალუტო კურსის დევალვაცია არსებითი გავლენის მატარებელია კომპანიის ფინანსურ შედეგზე, იმ პირობებში როცა შემოსავალი ადგილობრივ ვალუტაშია, ხოლო არსებითი ხარჯები უცხოურ ვალუტაშია გასაწევი.

2020 წლის პანდემიასთან დაკავშირებული გამოწვევები, მნიშვნელოვანი გამოცდილება იყო კომპანიისთვის, შესაბამისად მაკდონალდს საქართველოს 2021 წელს გაწერილი ჰქონდა სამოქმედო გეგმა ეფექტური ოპერირებისთვის, რამაც თავის მხრივ კომპანიას საშუალება მისცა, არაპროგნოზირებად გარემოში, გაუთვალისწინებელ შეზღუდვებზე მყისიერი რეაგირება და ადაპტაცია მოეხდინა, საოპერაციო თუ ფინანსური კუთხით.

2022 წელი კიდევ უფრო პოზიტიურ ტრენდს ინარჩუნებს ოპერირების ჭრილში, გაზრდილია მომხმარებლების რაოდენობა და გაჯანსაღებულია გარემო.

2022 წლის I კვარტალში კომპანიამ დაიწყო ახალი რესტორნის მშენებლობა კახეთის გზატკეცილზე და დამატებით მუშაობს მეორე რესტორნის სამშენებლო პროცესის დაწყებაზე.

საბოლოო ჯამში, ტექნოლოგიების დახვეწით, სიახლეების დანერგვით, მომხმარებლების სურვილების დაკმაყოფილებით და მათზე მუდმივი ზრუნვით, მაკდონალდსი კვლავ მიყვება თავის მისიას — ქმნის სასიამოვნო, გემრიელ მომენტებს. უფრო გემრიელს, ვიდრე ოდესმე.

მმართველობის ანგარიშგება(საქმიანობის მიმოხილვა) ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 11 ივლისს შემდეგი პირების მიერ:

თენგიზ კაპანაძე გენერალური დირექტორი	ბექა სტურუა ფინანსური დირექტორი

ამავდროულად კრიტიკულია პროდუქციის თვითღირებულების საკითხი, გაცვლითი კურსი პირდაპირ ზეგავლენას ახდენს ნედლეულის ფასზე, ხოლო მაღალი თვითღირებულების პირობებში, კომპანია იძულებულია, გაამკაცროს საფასო პოლიტიკა, რაც თავის მხრივ რისკების შემცველია.

ამავდროულად კომპანია გრძელვადიანი ფინანსირებისთვის იყენებს საბანკო რესურსს, რომელიც სესხს უცხოურ ვალუტაში გასცემს. მიუხედავად ხელსაყრელი საპროცენტო განაკვეთისა, სავალუტო კურსის დევალვაცია არსებითი გავლენის მატარებელია კომპანიის ფინანსურ შედეგზე, იმ პირობებში როცა შემოსავალი ადგილობრივ ვალუტაშია, ხოლო არსებითი ხარჯები უცხოურ ვალუტაშია გასაწევი.

2020 წლის პანდემიასთან დაკავშირებული გამოწვევები, მნიშვნელოვანი გამოცდილება იყო კომპანიისთვის, შესაბამისად მაკდონალდს საქართველოს 2021 წელს გაწერილი ჰქონდა სამოქმედო გეგმა ეფექტური ოპერირებისთვის, რამაც თავის მხრივ კომპანიას საშუალება მისცა, არაპროგნოზირებად გარემოში, გაუთვალისწინებელ შეზღუდვებზე მყისიერი რეაგირება და ადაპტაცია მოეხდინა, საოპერაციო თუ ფინანსური კუთხით.

2022 წელი კიდევ უფრო პოზიტიურ ტრენდს ინარჩუნებს ოპერირების ჭრილში, გაზრდილია მომხმარებლების რაოდენობა და გაჯანსაღებულია გარემო.

2022 წლის I კვარტალში კომპანიამ დაიწყო ახალი რესტორნის მშენებლობა კახეთის გზატკეცილზე და დამატებით მუშაობს მეორე რესტორნის სამშენებლო პროცესის დაწყებაზე.

საბოლოო ჯამში, ტექნოლოგიების დახვეწით, სიახლეების დანერგვით, მომხმარებლების სურვილების დაკმაყოფილებით და მათზე მუდმივი ზრუნვით, მაკდონალდსი კვლავ მიყვება თავის მისიას — ქმნის სასიამოვნო, გემრიელ მომენტებს. უფრო გემრიელს, ვიდრე ოდესმე.

მმართველობის ანგარიშგება(საქმიანობის მიმოხილვა) ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 11 ივლისს შემდეგი პირების მიერ:

თეიგიზ კაპანაძე	ბექა სტურუა
გენერალური დირექტორი	ფინანსური დირექტორი